საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველო 2023 წელს

სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება

საქართველო 2023 წელს

სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება

თბილისი
2024

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

ჩვენ შესახებ 4
შესავალი 4
რეკომენდაციები 10
1. სასამართლო სისტემა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა 18
1.1. სასამართლო სისტემა 18
1.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 20
1.3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული სამართალწარმოება 22
1.4. გარემოსდაცვითი მართლმსაჯულება 25
2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები 26
2.1. შეკრებისა და გაერთიანების უფლება 26
2.2. მედია და გამოხატვის თავისუფლება 31
2.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება 35
2.4. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა 36
3. მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა 40
3.1. ქალები 40
3.2. ლგბტ+ პირები 41
3.3. ხანდაზმულები 43
3.4. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები 43
3.5. ბავშვები 44
3.6. შშმ პირები 45
4. ეკონომიკური, სოციალური და კულტურის უფლებები 47
4.1. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება 47
4.2. შრომის უფლება 48
4.3. სიღარიბის დაძლევა 50
5. საარჩევნო კანონმდებლობა და გარემო 52
5.1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის ცვლილება 52
5.2. არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების დაფარვის არეალი 54
5.3. არაელექტრონული პირადობის მოწმობები 54
5.4. 2023 წლის შუალედური და რიგგარეშე არჩევნები 55
6. საპარლამენტო კონტროლი და საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი 56
6.1. საპარლამენტო კონტროლი 56
6.2. საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი 57
7. ადგილობრივი თვითმმართველობა 59
8. საჯარო მმართველობა 60
დანართი №1 – საიას 2023 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციები 62
დანართი №2. საიას 2023 წლის საჯარო განცხადებები 64

ჩვენ შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) დაფუძნდა 1994 წელს და დღეისათვის 450-ზე მეტ წევრს აერთიანებს. ორგანიზაცია 9 ოფისის მეშვეობით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობს. ის ემსახურება ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებების დაცვას როგორც ინდივიდების, ისე ინსტიტუტების დონეზე. შინაარსობრივ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ესენია: სამართლებრივი დახმარების პროგრამა, ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა და დემოკრატიული მხარდაჭერის პროგრამა.

შესავალი

ეს ანგარიში აფასებს 2023 წელს საქართველოში სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. დოკუმენტი, შესაძლოა, არ მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომლებიც 2023 წელს იყო აქტუალური. ანგარიში ფოკუსირებულია მხოლოდ იმ თემებზე, რომლებზეც საია 2023 წლის განმავლობაში მუშაობდა. ეს საკითხებია: მართლმსაჯულება და მასზე ხელმისაწვდომობა, სასამართლო პროცესების მონიტორინგი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმა, არჩევნები, საზედამხედველო მექანიზმების გაუმჯობესება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, შეკრებისა და გაერთიანების უფლება, მედიის და გამოხატვის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, წამება და არასათანადო მოპყრობა, სიღარიბე, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, შრომის უფლება, ჯანმრთელობის დაცვა, ქალების, შშმ პირების, ბავშვების, ხანდაზმულების, ლგბტ+ პირების, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები.

2023 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული მოვლენები. 8 ნოემბერს ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის დათქმებით მინიჭების შესახებ, ხოლო 14 დეკემბერს საქართველოს მიენიჭა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ეს დათქმები, მათ შორის, მოიცავს როგორც ინსტიტუციურ, ისე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების კუთხით საჭირო რეფორმებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა ყოველდღიურობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

2023 წელს ხელისუფლებას სასამართლოს ყოვლისმომცველი რეფორმისკენ არსებითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. სასამართლო სისტემის მთავარ გამოწვევად რჩება კორპორატივიზმი, ანგარიშვალდებულების ნაკლებობა და ინდივიდუალური მოსამართლეების შიდა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ბარიერები.

კიდევ უფრო გაუარესდა და საფრთხის შემცველი გახდა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე პირთა მდგომარეობა. 2023 წლის 7 მარტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა, 76 ხმით 13-ის წინააღმდეგ, პირველი მოსმენით მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციასა და გაჩუმებას ისახავდა მიზნად, ამასთანავე, მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენდა ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ გარანტიებზე. მოგვიანებით, მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად, კანონპროექტი გაიწვიეს. თუმცა, აქციებზე სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების

კანონიერებისა და პროპორციულობის შეფასების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან არაერთგზის დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით, ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული ვალდებულებები. მათ შორის, გამოვლინდა შემდეგი ასპექტები: ლოკალური ხასიათის დარღვევებზე, ინდივიდუალური და შეზღუდული რეაგირების ნაცვლად, მშვიდობიანი აქციის დაშლის უკანონო გადაწყვეტილებების მიღება; ზოგ შემთხვევაში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე სპეციალური საშუალებების გამოყენების დაწყება; აქციის დაშლის ოპერაციისას და, შესაბამისად, სპეციალური საშუალებების გამოყენებისას, სამართალდამრღვევი და მშვიდობიანი მონაწილეების ერთმანეთისგან გამიჯვნის ვალდებულების დარღვევა; სპეციალური საშუალებების ერთდროულად და პარალელურად გამოყენება; სპეციალური საშუალებების უკანონოდ და არაპროპორციული ძალით გამოყენება (წიწაკის სპრეის სახეში შესხმა, წყლის ჭავლის დამიზნებით გამოყენება; ცრემლსადენი გაზის კაფსულების დამიზნებით სროლა); აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფიზიკური ძალის გამოყენება, მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა.

კანონპროექტის გაწვევის მიუხედავად, უფლებადამცველების მადისკრედიტირებელი კამპანიები მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა გზით. ამაზე მიუთითებს გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის (ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობაზე) წინასწარი მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც 2023 წლის 7 ნოემბერს გამოქვეყნდა.

2023 წელს განვითარებული მოვლენები და სხვადასხვა მშვიდობიან შეკრებაზე სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შეკრების თავისუფლება მომეტებულად იზღუდება. ეს კი, მათ შორის, ხორციელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, რომელიც ადამიანებს მნიშვნელოვანი გარანტიების გარეშე ტოვებს.

კრიტიკული მედიის წარმომადგენლების ფიზიკური უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობა გაუარესებულია. საგამოძიებო პროცესი, უმეტესწილად, ხარვეზებით ხასიათდება. ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ პოლიტიკას და მისი წახალისების პრაქტიკას, რაც, მათ შორის, მოძალადეების დაუსჯელობაში გამოიხატება, დამაზიანებელი ეფექტი აქვს მედიის თავისუფლების ხარისხზე. პრობლემურია 2023 წელს პარლამენტში ჟურნალისტების აკრედიტაციასთან დაკავშირებით მიღებული წესები, ასევე, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებსაც პარლამენტი დაჩქარებული წესით, დაინტერესებული მხარეების ჩართვის გარეშე იღებს.

2023 წელს სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სუსტია სასამართლო კონტროლი გარკვეულ გარანტიებთან დაკავშირებით, კონკრეტულად, აღკვეთის ღონისძიებებთან, დაკავების კანონიერებასა და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. უმეტესად, კვლავ ფორმალურია საპროცესო შეთანხმების სხდომები. მოსამართლეები სრულყოფილად არ განმარტავენ მასთან დაკავშირებულ უფლებებს და სათანადოდ არ იკვლევენ საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობას. ბოლო პერიოდში გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რიცხვი, თუმცა, საიას მიერ დამონიტორინგებულ საქმეთა ანალიზის მიხედვით, ეს, უმეტესად, ოჯახურ დანაშაულებზე გამო-

ტანილ გამამართლებელ განაჩენებს უკავშირდება. დამატებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა გაჭიანურებული სამართალწარმოებაა.

2023 წელსაც არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური, სავარაუდოდ უკანონო, ფარული მოსმენა-მიყურადების და თვალთვალის საქმეზე. არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, გაეროსა და ევროკავშირის მკაფიო მოწოდების მიუხედავად, არ შეცვლილა სათანადო საკანონმდებლო მექანიზმები სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ თვალთვალისა და მონაცემთა შეგროვების პროცესის გასაუმჯობესებლად.

პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობა, რაც დასტურდება CPT-ისა და სახალხო დამცველის ანგარიშებით, მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენს პატიმართა უფლებების რეალიზებაზე და, შესაძლოა, გაუტოლდეს დამამცირებელ ან/და არაადამიანურ მოპყრობას. სახელმწიფოს დღემდე არ აქვს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის სტრატეგია. ამ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთათვის პრობლემურია ასევე სომატური და ფსიქიატრიული ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

2023 წელს საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის თანახმად, ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველზე გავრცელებული დანაშაულია. კვლავ მაღალია გენდერის ნიშნით ქალთა მკვლელობის მაჩვენებელი. არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან, დაზარალებულზე ორიენტირებულ, გენდერულად მგრძნობიარე სამართლებრივ მექანიზმებს. ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მართლმსაჯულება ხელმიუწვდომელი ან/და რთულად ხელმისაწვდომია. სუსტია როგორც ნაადრევი ქორწინების პრევენციის საკანონმდებლო მექანიზმი, ასევე, ხშირად არაეფექტიანია პრევენციული რეაგირება. სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი ძალადობის პირისპირ კვლავ განსაკუთრებით დაუცველნი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები.

ლგბტ+ პირები კვლავ განიცდიან დისკრიმინაციას განათლების, სამუშაოს, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებში, მეტწილად, არსებული საკანონმდებლო ნორმების ჯეროვნად აღუსრულებლობით გამოწვეული ხარვეზების გამო. ლგბტ+ ადამიანები განსაკუთრებით დაუცველნი არიან სტიგმისა და ძალადობისგან. 2023 წლის 8 ივლისს „ლისი უანდერლენდის“ ტერიტორიაზე ანტიდასავლურმა, მოძალადე ჯგუფებმა „თბილისი პრაიდის“ ფესტივალი ჩაშალეს და ტერიტორია დაარბიეს. პოლიციამ არ მიიღო პრევენციისა და სამართალდარღვევაზე რეაგირების ზომები საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, არ დაიცვა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება და სიძულვილის ჯგუფებს ძალადობრივი მოწოდებების დაუბრკოლებლად გავრცელების, ძალადობრივი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა მისცა. ადამიანის უფლებათა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, სხვა სოციალური ჯგუფებისგან განსხვავებით, ამ დრომდე ერთხელაც არ უხსენებიათ ლგბტ+ ადამიანები და მათი უფლებები.

პრობლემად რჩება ბავშვთა მიმართ შრომითი ექსპლუატაციის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ძალადობის ფორმების დროულად გამოვლენა. მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს ბავშვთა სოციალური მხარდაჭერის კუთხითაც. მიზნობრივი სახელმწიფო სერვისები არასაკმარისი და არაეფექტიანია. 2023 წელს ბავშვთა სიღარიბე სახელმწიფოში კვლავ ყველაზე მტკივნეულ საკითხად რჩებოდა.

იკვეთება ასევე ბარიერები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე წვდომის თვალსაზრისით. სოფლად მცხოვრები ბავშვების გარკვეულ ნაწილს სკოლამდელ განათლებაზე ხელი არ მიუწვდება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით წლების განმავლობაში გადადგმული არაერთი პოზიტიური ნაბიჯის მიუხედავად, მათი უფლებების სრულყოფილი რეალიზება კვლავ ვერ ხერხდება. შშმ პირთა ინკლუზიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორ ჩართვას დამატებით ბარიერებს უქმნის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება სამედიცინო მიდგომის საფუძველზე. არსებული საკანონმდებლო გარანტიების მიუხედავად, ინკლუზიური განათლება ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დახვეწილი და მისაწვდომი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის.

რელიგიური გაერთიანებების თანასწორუფლებიანობის მიმართულებით 2023 წელს თავდაცვის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა დისკრიმინაციულ მოწესრიგებას დაუდო საფუძველი. კონკრეტულად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები კვლავ გათავისუფლდებიან არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურისგან, მაშინ, როდესაც ყველა სხვა სასულიერო პირს მისი გავლა მოუწევს.

პრობლემურია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით სათანადოდ სარგებლობა. ხშირად კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები სხვადასხვა პროექტზე გადაწყვეტილებებს კანონმდებლობის ნორმათა დარღვევით იღებენ, ჯეროვნად არ იკვლევენ საქმის გარემოებებს, შესაბამისად, ვერ აფასებენ პროექტის შესაძლო უარყოფით ზეგავლენას გარემოსა და ადამიანზე. გადაწყვეტილების მიმღები პირები გარემოსდაცვით და მშენებლობის ნებართვებს, არაერთ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული კვლევების წარდგენის გარეშე იღებენ. პრობლემურია ამ კვლევების ხარისხიც.

2023 წლის 3 აგვისტოს შოვში, ხოლო სექტემბერში გურიაში მომხდარი სტიქიური მოვლენები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო მზად არ არის, გაუმკლავდეს ბუნებრივ კატასტროფებს და თავიდან აირიდოს მათგან მომდინარე საფრთხეები. ქვეყანაში ამ დრომდე არ არსებობს ადრეული გაფრთხილების სისტემები და სათანადოდ არ სრულდება კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები. კლიმატის ცვლილების პირობებში კი, როდესაც სულ უფრო ხშირი და ინტენსიურია ბუნებრივი კატასტროფები, საჭიროა, სახელმწიფომ დროულად შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულებები და დაიცვას მოქალაქეთა ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება.

2023 წლის განმავლობაში, კერძო და საჯარო სექტორში რთული სამუშაო პირობების გამო, გამოვლინდა დასაქმებულ პირთა გაფიცვის არაერთი შემთხვევა. შრომითი უფლებების კუთხით, განსაკუთრებით გაუარესდა მდგომარეობა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, სადაც დაიწყო თანამშრომლების მასობრივი გათავისუფლება რეორგანიზაციის საფუძველზე, მათ შორის, დისკრიმინაციული საფუძვლებით.

გამოწვევად რჩება ხანდაზმულთა სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მიერ შერჩეული საბანკო დაწესებულების მხრი-

დან პენსიის სახით მისაღები სახელმწიფო გასაცემელის თვითნებური დაკავების/დაქვითვის მიმართულებით. პრობლემური იყო საპენსიო საკითხებთან დაკავშირებით ხანდაზმულთა ინფორმირება, რაც გარკვეულ შემთხვევებში იწვევდა პენსიის შეჩერებას ან/და შეწყვეტას. აღსანიშნავია, რომ პენსიების ადმინისტრირებისას არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე წინასწარ არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია, რაც მათ უფლებრივ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. ხანდაზმულებს დღემდე მძიმე ფინანსურ ტვირთად აწევთ პანდემიის პერიოდში გადავადებული საკრედიტო ვალდებულებები, რადგან მათი მხრიდან საშეღავათო პერიოდით რამდენიმეთვიანმა სარგებლობამ მნიშვნელოვნად გაზარდა საპენსიო სესხებისთვის დადგენილი უსამართლოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი, საკრედიტო ურთიერთობის ვადა და ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობა.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სიღარიბე. სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული სიღარიბის დაძლევის ერთიანი და მდგრადი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს, მოიცავს ქვეყანაში არსებულ ყველა მოწყვლად ჯგუფს და მიმართული იქნება არსებული სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისკენ. სახელმწიფოს მიერ დანერგილი დასაქმებისა და სოციალური მხარდაჭერის პროგრამები საჭიროებს გადახედვას და არსებულ სოციალურ რისკებზე ადაპტირებას, რათა არ იყოს დამოკიდებული ხელისუფლების მხრიდან ერთჯერად ინიციატივებზე და ჩამოყალიბდეს ერთიანი ეროვნული სტანდარტი.

2023 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დაკომპლექტების წესი. ასევე, კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების დარეგულირების თაობაზე და ამ მეთოდით ორი შუალედური და რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა. ცესკოს დაკომპლექტების წესის განმეორებითი ცვლილება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მოამზადა, პარლამენტმა ჯერ მხოლოდ პირველი მოსმენით მიიღო. ამრიგად, ამ საკითხზე მსჯელობა გრძელდება.

საიას მიერ ბოლო წლებში განხორციელებულმა ადვოკატირებამ, გაუმჯობესებულიყო პარლამენტის რეგლამენტის ჩანაწერები კონტროლის მიმართულებით, შედეგი გამოიღო. თუმცა, გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც, დიდწილად, უსაფრთხოების სექტორის კონტროლს შეეხება, კვლავ დღის წესრიგშია. უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული საზედამხედველო მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესება ევროპული კომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების ფარგლებში გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაციაა. საპარლამენტო საქმიანობაზე საიას დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ, წინა წლების მსგავსად, დეპუტატები ზოგიერთ საზედამხედველო მექანიზმს იშვიათად ან საერთოდ არ იყენებენ. მათ შორის, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს სხდომაზე თანამდებობის პირი არ დაუბარებია.

2023 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შევიდა კიდევ ერთი დამაზიანებელი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, მერს აღარ შეუწყდება უფლებამოსილება, თუკი საკრებულო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს კანონით დადგენილ ვადებში ვერ დაამტკიცებს. ეს ცვლილება მერის პასუხისმგებლობას სრულად გამორიცხავს და მას მხოლოდ საკრებულოზე ავრცელებს. ამრიგად, პასუხისმგებლობის დამაბალანსებელი მექანიზმის გაქრობით, საკრებულოს არსებობა ხდება მერის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული, რაც გაუმართლებელია. ადგილობრივი

თვითმმართველობის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება საკრებულოების მიერ საზედამხედველო ფუნქციის გამოყენების სისუსტე. პრობლემები გამოიკვეთა არა მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით, არამედ ნორმატიულ დონეზეც. საკრებულოს რეგლამენტებში მექანიზმების შესახებ პროცედურა არასათანადოდაა გაწერილი, რაც ართულებს მათ გამოყენებას და პრაქტიკაში დანერგვას.

2023 წელს შენარჩუნდა უკუსვლის დინამიკა ღია მმართველობის და ანტიკორუფციული მიმართულებით. 2022 წლის ნოემბერში „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლითაც, სხვა სიახლეებთან ერთად, ანტიკორუფციული ბიურო შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ბიუროს შექმნით გარკვეული უფლებამოსილებები ერთი ორგანოს ქვეშ გაერთიანდა (დეკლარაციების მონიტორინგი, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი, მამხილებელთა დაცვა და ა.შ.), მას არ აქვს საგამოძიებო ფუნქციები. ამასთანავე, ბიუროს ხელმძღვანელი ინიშნება პრემიერ-მინისტრის მიერ. შესაბამისად, ხელმძღვანელის დაბალი ლეგიტიმაცია და საგამოძიებო ფუნქციის არარსებობა დამოუკიდებლობის გარანტიებს ვერ ქმნის.

არსებული გამოწვევები და უარყოფითი დინამიკა ადამიანის უფლებებს, ასევე, დემოკრატიული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და დამკვიდრებას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს.

რეკომენდაციები

სასამართლო სისტემა

- სახელმწიფომ გაატაროს სისტემური და ყოვლისმომცველი რეფორმა, რათა გაიზარდოს სასამართლოს როგორც ინსტიტუციური, ისე მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გარანტიები. რეფორმის შედეგად, უნდა დაბალანსდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმები და გაუმჯობესდეს მოსამართლეთა თვითმმართველობის ხარისხი. რეფორმა უნდა წარიმართოს ინკლუზიურად, პროცესში ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორების ჩართულობით;
- სასამართლო სისტემის ორგანოებმა შეასრულონ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები გამჭვირვალობისა და საჯაროობის მიმართულებით.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება

- სამართალდამცავებმა აქციის დაშლისას, მყისიერი საფრთხის გამომრიცხავ გარემოებებში, უზრუნველყონ სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე გაფრთხილება კანონით დადგენილი ფორმით;
- სამართალდამცავებს მიეცეთ მკაცრი მითითება აქციის მიმდინარეობისას მშვიდობიანი და სამართალდამრღვევი მონაწილეების ერთმანეთისგან გამიჯვნის აუცილებლობის თაობაზე, ხოლო ლოკალური და ინციდენტური ხასიათის შემთხვევებზე რეაგირებისას მხოლოდ სამართალდამრღვევების მიმართ გამოიყენონ ინდივიდუალური და პროპორციული საშუალებები;
- სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მიეცეთ მკაცრი მითითება სპეციალური საშუალებების წესების დაცვით გამოყენების თაობაზე;
- უზრუნველყოფილი იყოს სამართალდამცავების მიერ სპეციალური საშუალებების წესების დაცვით გამოყენების ზედამხედველობა;
- შეკრებებში მონაწილეთა დაკავება განხორციელდეს მხოლოდ კანონიერი საფუძვლების არსებობისას, ზედმეტი ძალის გამოყენების გარეშე.

მედია და გამოხატვის თავისუფლება

- სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ეფექტიანად გამოიძიოს მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ძალის გადამეტებისა და პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევის ფაქტები;
- მაღალი თანამდებობის პირებმა, ასევე, საჯარო ფუნქციების განხორციელებისას შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ დისკრიმინაციული დამოკიდებულებისგან კრიტიკული მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ;
- პარლამენტმა თავი შეიკავოს გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი კანონების წარდგენისგან/მიღებისგან;
- ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უზრუნველყონ მედიაორგანიზაციებისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად, ხელოვნური ბარიერების გარეშე მიწოდება.

არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

- განხორციელდეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის რეფორმირება იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. უპირატესად გადაიჭრას: 1) მაღალი რანგის სახელმწიფო წარმომადგენლებზე იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილების არქონის საკითხი; 2) საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები; 3) პროკურატურის მხრიდან საგამოძიებო პროცესზე სრული კონტროლის შენარჩუნებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილების საკითხი;
- არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და დროული გამოვლენისთვის მნიშვნელოვანია: ყველა რგოლის ეფექტიანი და კოორდინირებული მუშაობა, დაკავებულ პირთა შესახებ სრულყოფილი რეესტრის წარმოება, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, ექიმის მიერ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე გაფართოება, საგამოძიებო სამსახურის მიერ საგამოძიებო უფლებამოსილების ეფექტიანი შესრულება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მართლმსაჯულება

- საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგების შესახებ;
- დროულად დასრულდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რეფორმა პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით;
- ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს ნათლად და საფუძვლიანად განემარტოთ მათი უფლებები;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავი შეიკავოს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნისგან ზარის განხორციელებისას;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯეროვნად დაასაბუთოს პირის ადმინისტრაციული წესით დაკავების საჭიროება, მათ შორის, დაკავების ვადების გახანგრძლივება, ნაცვლად შაბლონური ოქმების შედგენისა;
- სამართალდამცავმა უწყებებმა და სასამართლომ დაკავებულ პირებსა და მათ ადვოკატებს მხარისთვის სასარგებლო მტკიცებულებების მოძიებისთვის მისცენ საკმარისი დრო;
- სასამართლომ უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ორგანიზებულად განხილვა;
- სასამართლომ პირის სამართალდამრღვევად ცნობისას ოქმის შემდგენელ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს ობიექტური და დამაჯერებელი მტკიცებულებების წარდგენა;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავი შეიკავოს ადვოკატთა საქმიანობის ხელშეშლისგან, უზრუნველყოს ადვოკატსა და მის მარწმუნებელს შორის სათანადო და დროული კომუნიკაცია, მათ შორის, დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მარწმუნებლის ადგილსამყოფლის შესახებ;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავი შეიკავოს მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებისგან.

ქალთა უფლებები

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სახელმწიფომ უზრუნველყოს ეფექტიანი რეაგირება და რისკების სათანადოდ შეფასება. იზრუნოს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმის შესახებ ცნობიერების გაზრდაზე;
- სახელმწიფომ აქტიურად იმუშაოს მოძალადეებთან ძალადობრივი ქცევის კორექციის მიმართულებით, უზრუნველყოს დანაშაულის ჩამდენი ფსიქიკური საჭიროების პირების ჯანმრთელობის პრობლემების ეფექტიანი მართვა როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში, ისე დაწესებულების დატოვების შემდეგ;
- ეფექტიანად აღასრულოს საერთაშორისო ორგანოების რეკომენდაციები, მათ შორის, ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) რეკომენდაცია დამხმარე სერვისებისა და დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შესახებ.

ლგბტ+ პირები

- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ლგბტ+ თემის წევრების უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ასახვა;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს ლგბტ+ პირთა შეკრებისა და გამოხატვის უფლების დაცვა;
- საგამოძიებო ორგანომ დროულად უზრუნველყოს 8 ივლისის საქმეზე შესაბამისი პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, დამნაშავეთა იდენტიფიცირება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

ხანდაზმულები

- საქართველოს მთავრობამ, „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შესრულების შედეგების გაანალიზების საფუძველზე, შეიმუშაოს და დაამტკიცოს დაბერების საკითხზე ახალი ეროვნული სამოქმედო

გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება ხანდაზმული პირების უფლებების ეფექტიან დაცვაზე;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ შეისწავლოს სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებული ხანდაზმული პირების მდგომარეობა, ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს დარღვევებზე და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მათთვის ღირსეული პირობების შექმნა;
- ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხანდაზმულ პირთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, შეიმუშაონ მიზნობრივი პროგრამები და მათ განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გამოყონ შესაბამისი ფინანსები; საჭიროების შემთხვევაში, გაზარდონ ბიუჯეტი და მოიძიონ დამატებითი სახსრები;
- საბანკო დაწესებულებებმა თავი შეიკავონ პენსიის თვითნებური დაკავებისგან/დაქვითვისგან;
- სოციალური მომსახურების სააგენტომ პენსიის მიმღებ პირებს განუმარტოს მათი უფლებები პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით;
- სახელმწიფომ დაარეგულიროს საპენსიო სესხებთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთი, რათა პენსიონერებს არ მოუწიოთ შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის გადახდა.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

- საქართველოს პარლამენტმა, ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უზრუნველყონ კონსტიტუციით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების პრაქტიკაში განხორციელება და შეწყვიტონ დისკრიმინაციული დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობების მიმართ;
- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათი დაბალი ჩართულობისა და სიღარიბესთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად.

ბავშვები

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეაფასოს და გააძლიეროს ბავშვების სოციალური მხარდაჭერის პროგრამები, რათა ისინი ადეკვატურად პასუხობდეს სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ბავშვების საჭიროებებს;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ყველა ბავშვს, განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა, თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე;

- საქართველოს მთავრობამ გააძლიეროს სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაცია და იზრუნოს შესაძლო დამატებითი მომსახურებების შემოღებაზე, რომელთა მიზანი იქნება ბავშვების უსაფრთხოების დაცვა და მათზე ორიენტირებული სისტემური მიდგომის დანერგვა.
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გადადგას მყისიერი, ქმედითი ნაბიჯები სკოლაში უფასო კვების პროგრამის დანერგვისა და განხორციელების მიზნით.

შშმ პირები

- შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებებმა უზრუნველყონ, ერთი მხრივ, უწყებაში დასაქმებული პირების, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ინფორმირება შშმ პირთა უფლებებზე;
- სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სააგენტომ დანერგოს შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი ეფექტიანი მექანიზმები;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს შეზღუდვის სტატუსის მინიჭების ბიოფსიქოსოციალურ სისტემაზე გადასასვლელად გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დროულად შესრულება.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

- საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან პირთა უსაფრთხოების დასაცავად უზრუნველყონ კანონმდებლობის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- მთავრობამ, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, უზრუნველყოს შესაბამისი კანონმდებლობის სათანადოდ აღსრულება; დროულად შეიქმნას და ამოქმედდეს ადრეული გაფრთხილების სისტემები;
- ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისი კონკრეტული და გაზომვადი აქტივობები, რომლებმაც უნდა დაფაროს კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების მიმართულებებიც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების ყურადღების მიღმაა დარჩენილი, ამ ამოცანათა ზოგადი ხასიათი ტოვებს სამოქმედო გეგმაში მათი ასახვის სივრცეს;
- საჯარო უწყებებმა დროულად და სრულად გასცენ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია;
- საჯარო უწყებებმა დაინტერესებულ პირებს მისცენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შინაარსობრივი მონაწილეობის შესაძლებლობა. ამ მიზნით, კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა დროულად და სრულფასოვნად უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება, საჯარო გა-

ნხილვების ორგანიზება, წარდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინება;

- კომპეტენტურმა ორგანოებმა, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აწარმოონ აქტიური საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით;
- სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები მიიღოს სრულფასოვანი, ხარისხიანი კვლევებისა და ინფორმაციის საფუძველზე;
- სასამართლო გახდეს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი. ამისთვის საჭიროა, შემცირდეს სამართალწარმოების ვადა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებს მიანიჭონ პრიორიტეტი;
- მოსამართლეები გადამზადდნენ გარემოსდაცვითი მიმართულებით და სპეციალიზდნენ ამ ტიპის დავების განსახილველად. მათი გადამზადება უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ.

შრომის უფლება

- გაუმჯობესდეს შრომის უფლებების სამართლებრივი რეგულირება კერძო და საჯარო სექტორში, საქართველოს შრომის კოდექსსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით;
- სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურმა გააძლიეროს შრომის უსაფრთხოებასა და შრომითი უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა, მათ შორის, ინსპექტირებების რაოდენობის გაზრდითა და სანქციების სამართლიანი პოლიტიკის განსაზღვრით;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები შრომითი მედიაციის პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით, დასაქმებულთა გაფიცვების პრევენციის მიზნით;
- დაწესებულებაში რეორგანიზაციის ობიექტური საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულები გადაიყვანონ არსებულ ტოლფას პოზიციებზე, ნაცვლად მათი გათავისუფლებისა და ამ პოზიციების კონკურსის წესით შევსებისა;
- დაწესებულებიდან დასაქმებულთა გათავისუფლებამდე, შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ობიექტურად შეფასდეს კანდიდატის კვალიფიკაცია და მუშაობის ხარისხი, ხოლო გასაუბრებები ჩატარდეს წინასწარ კარგად ორგანიზებული ფორმით;
- გაიწეროს შეფასების და გასაუბრების პროცედურები, კომპეტენციების გათვალისწინებით დაკომპლექტდეს შემფასებელი კომისიები, დასაქმებულს ჰქონდეს კომისიის წევრის აცილების თაობაზე დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა, ასევე, დასაქმებულის თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს გასაუბრების ვიდეო-აუდიო ჩაწერა.

სიღარიბის დაძლევა:

- ქვეყანაში უმუშევრობის დონის შესამცირებლად და დასაძლევად შემუშავდეს და დაინერგოს დასაქმების გრძელვადიანი და მდგრადი პროგრამები;
- განახლდეს შეფასების სისტემა სოციალურად დაუცველი ოჯახების გამოსავლენად, დაინერგოს სარეიტინგო ქულების გამოთვლის სამართლიანი და ინკლუზიური სისტემა;
- ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ მოწყვლადი ჯგუფების სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება, მიზნობრივი სოციალური დახმარების პაკეტების გაუმჯობესება, განსაკუთრებით, ისეთი მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა, როგორებიც არიან: ხანდაზმულები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ბავშვები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები და სხვა;
- სახელმწიფომ შრომის ბაზარზე სოციალურად დაუცველი პირების დასაბრუნებლად უზრუნველყოს გრძელვადიანი და მდგრადი გეგმის შემუშავება და მისი დანერგვის ხელშეწყობა;
- შემუშავდეს მინიმალური ხელფასის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი და განისაზღვროს მისი ღირსეული ოდენობა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება.

არჩევნები

- მნიშვნელოვანია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი ეფუძნებოდეს ფართო საპარლამენტო კონსენსუსს და წარიმართოს დამოუკიდებელი მხარეების ჩართულობით, როგორიცაა პრეზიდენტი, საარჩევნო კანონმდებლობაში 2021 წელს განხორციელებული ცვლილებებისა და ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმების შესაბამისად. ამრიგად, კომისიის თავმჯდომარის და წევრების დანიშვნის უფლებამოსილება არ უნდა მოექცეს ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში;
- საარჩევნო პროცესის ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მაქსიმალურად გამართულად წარმართვის უზრუნველსაყოფად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განახორციელოს საზოგადოების ინფორმირების აქტიური კამპანია როგორც დიდ ქალაქებში, ისე რეგიონებში. ასევე, უზრუნველყოს ყველა დონის საარჩევნო კომისიის წევრის სათანადო გადამზადება, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე ტექნოლოგიების შესაძლო ხარვეზით გამოწვეული შეფერხების ეფექტიანად აღმოფხვრა.

საპარლამენტო კონტროლი

- საქართველოს პარლამენტმა გააგრძელოს რეგლამენტის და პრაქტიკის, აგრეთვე, არსებული მექანიზმების გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ეფექტიანი კონტროლი;

- პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს უსაფრთხოების სექტორის საზედამხედველო მექანიზმებს, რომლებიც კონტროლის მნიშვნელოვან დანაკლისს განიცდის. ამ კუთხით, აუცილებელია, გადაისინჯოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და ნდობის ჯგუფის არსებული ინსტიტუციური მოწყობა, ფუნქციები და მანდატი.

საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი

- საპარლამენტო უმრავლესობამ ხელი არ შეუშალოს ოპოზიციას საკუთარი კანონისმიერი უფლებების განხორციელებაში. გარდა ამისა, სახელისუფლო პარტიამ არ უნდა გამოიყენოს საპარლამენტო მექანიზმები (მათ შორის, კანონის ცვლილებები) მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის, არამედ თითოეული პროცედურა უნდა ეყრდნობოდეს დემოკრატიულ და მონაწილეობით პრინციპებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა

- ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოების როლის და ფუნქციის გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებმა გააუმჯობესონ სამართლებრივი ბაზა, პრაქტიკა და ხელი შეუწყონ ამბიციურ რეფორმებს;
- საკრებულოებმა უნდა გამოავლინონ ეფექტიანი კონტროლის პოლიტიკური ნება და უზრუნველყონ როგორც ახალი მექანიზმების გაწერა ნორმატიულ ბაზაში, ისე არსებული მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება.

1. სასამართლო სისტემა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

1.1. სასამართლო სისტემა

2023 წელს სასამართლოს ყოვლისმომცველი რეფორმისკენ ხელისუფლებას არსებითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. სასამართლო სისტემის მთავარ გამოწვევად რჩება კორპორატივიზმი, ანგარიშვალდებულების ნაკლებობა და ინდივიდუალური მოსამართლეების შიდა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ბარიერები.

2023 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური სანქციები დაუწესა 3 მოქმედ და 1 ყოფილ მოსამართლეს, რომლებიც მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წევრები არიან.[1] ამ გადაწყვეტილების შემდგომ, სასამართლო სისტემაში კორუფციული და სხვა სახის დარღვევების შესასწავლად, საპარლამენტო ოპოზიციამ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა.[2] პლენარულ სხდომაზე საკითხი სამჯერ დადგა კენჭისყრაზე, თუმცა მმართველი პარტიის დეპუტატებმა, ტექნიკური ბარიერების შექმნით (კენჭისყრისთვის რეგისტრაცია არ გაიარეს), სამივეჯერ ხელი შეუშალეს პროცესის დაწყებას.[3] საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ ეს მოსამართლეების მიმართ „სოლიდარობის აქტად" შეაფასა.[4]

სასამართლოსთან დაკავშირებით ევროკომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად პარლამენტში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.[5] საია, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ჩართული იყო ჯგუფის საქმიანობაში, თუმცა მმართველ პარტიას არცერთ ეტაპზე არ გამოუვლენია პოლიტიკური ნება, გაეზიარებინა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და გაეტარებინა ყოვლისმომცველი რეფორმა. პარლამენტმა გვერდი აუარა სასამართლო სისტემის ყველა არსებით გამოწვევას და მხოლოდ ფრაგმენტული ცვლილებებით შემოიფარგლა. ამ პროცესის ფონზე შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები საერთაშორისო პარტნიორების მიერ უარყოფითად შეფასდა.[6]

---

[1] "Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, Press Statement", U.S. Department of State, 2023 წლის 5 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/public-designations-of-mikheil-chinchaladze-levan-murusidze-irakli-shengelia-and-valerian-tsertsvadze-due-to-involvement-in-significant-corruption, განახლებულია: 19.06.2023.

[2] სასამართლო სისტემაში კორუფციული და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტის კენჭისყრისთვის კვორუმი არ შედგა. 2023 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/sasamartlo-sistemashi-koruftsiuli-da-skhva-kanonsatsinaaghmdego-kmedebata-shemstsavleli-droebiti-sagamodziebo-komisiis-shekmnis-shesakheb-dadgenilebis-proektis-kenchisqristvis, განახლებულია: 06.12.2023.

[3] „ქართული ოცნება" აგრძელებს სასამართლო კლანის ინტერესების დაცვას, 2023 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=285&clang=0, განახლებულია: 20.06.2023.

[4] ირაკლი კობახიძე - მივიღეთ გადაწყვეტილება, არ გავიაროთ რეგისტრაცია კენჭისყრამდე - ეს არის სოლიდარობის აქტი ქართველი მოსამართლეების მიმართ, 2023 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XtPQKu, განახლებულია: 20.06.2023.

[5] იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, 2023 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/announcement/2193?local=true, განახლებულია: 27.12.2023.

[6] Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 134th Plenary Session (Venice, 10-11 March 2023), CDL-AD(2023)006-e, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/84zgMcd, განახლებულია: 04.12.2023; Georgia – Follow-up opinion on previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 136th Plenary Session (Venice, 6-7 October 2023), CDL-AD(2023)033-e, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)033-e, განახლებულია: 09.01.2024.

2023 წლის განმავლობაში ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ კრიტიკულ შეფასებებსა და რეკომენდაციებში ასახულია არასამთავრობო სექტორის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების დიდი ნაწილი. კომისიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ კორპორატივიზმისა და პირადი ინტერესების შესახებ ფართოდ გავრცელებულ მუდმივ პრეტენზიებს, რაც აზიანებს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას.[7]

კომისიის განმარტებით, როგორც 2023 წლის ივნისის, ასევე, ამავე წლის სექტემბრის ცვლილებები სრულად ვერ პასუხობს რეკომენდაციებს მოსამართლეთა მივლინების, დისციპლინირების, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებების სავალდებულოობის და სხვა საკითხების შესახებ.[8] საქართველოსთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ პარლამენტმა ცვლილებები უნდა შეიტანოს საერთო სასამართლოების შესახებ კანონში, ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან თანხვედრის მიზნით, ასევე, განახორციელოს მართლმსაჯულების ფუნდამენტური რეფორმა.[9] დოკუმენტში საუბარია ისეთი ექსტრაორდინალური მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობაზეც, როგორიც მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმების სისტემის დანერგვაა.[10]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრულად დაკომპლექტება ევროპული კომისიის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი პირობა იყო. 2021 წლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო 10 წევრის შემადგენლობით, 5 არამოსამართლე წევრის გარეშე მუშაობდა. იმ პირობებში, როდესაც საბჭოს მიმართ საზოგადოების ნდობა დაბალია, 5 კეთილსინდისიერი არამოსამართლე წევრის არჩევა, მით უფრო, თუ საბჭოში გადაწყვეტილების მიღების წესი უფრო დაბალანსებული გახდებოდა და ორმაგი 2/3-ის პრინციპი ამოქმედდებოდა, შესაძლოა, რეალური ცვლილებების დასაწყისი ყოფილიყო. სამწუხაროდ, არამოსამართლე წევრები საკანონმდებლო ორგანოს ფართო კონსენსუსით არ აურჩევია.[11] 2023 წლის განმავლობაში პარლამენტმა თავდაპირველად სამი, ხოლო მოგვიანებით - 2 არამოსამართლე წევრი შეარჩია და საბჭო სრულად დააკომპლექტა. კანდიდატები პარლამენტში გამართული გასაუბრებების დროს ხელისუფლების და სასამართლო სისტემის მიმართ ლოიალური პოზიციებით გამოირჩეოდნენ. მათი ბიოგრაფიების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა მათი კავშირები სასამართლოს გავლენიან პირებთან.[12]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგად, კვლავაც დადასტურდა კორპორატივიზმის, ანგარიშვალდებულების ნაკლებობისა და ინდივი-

[7] Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 134th Plenary Session (Venice, 10-11 March 2023), CDL-AD(2023)006-e, პარა. 15.

[8] Georgia – Follow-up opinion on previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 136th Plenary Session (Venice, 6-7 October 2023), CDL-AD(2023)033-e, 14.

[9] Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, SWD(2023) 697, გვ. 20.

[10] იქვე.

[11] ეს წესი გულისხმობს საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე წევრების 2/3-ის და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობას.

[12] „ვინ არიან და რა კავშირები აქვთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალ არამოსამართლე წევრებს“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2023 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/blog/vin-arian-da-ra-kavshirebi-akvt-iusticiis-umaglesi-sabchos-axal-aramosamartle-cevrebs, განახლებულია: 23.10.2023.

დუალურ მოსამართლეთა შიდა დამოუკიდებლობის პრობლემები. 2023 წლის 1-ელ ნოემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გიორგაძეს უარი ეთქვა უვადო მოსამართლედ გადანიშვნაზე.[13] ხაზგასასმელია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ამგვარი მიდგომა ამ დრომდე არცერთი მოსამართლის მიმართ არ გამოუყენებია. იმ ფონზე, როდესაც სისტემაში განსხვავებული აზრის მიუღებლობა, წლებია, პრობლემაა, არსებობს ეჭვი, რომ საბჭოს გადაწყვეტილება უკავშირდება მოსამართლე ნინო გიორგაძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ან/და მის მიერ გამოხატულ განსხვავებულ შეხედულებებს მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით.[14] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ ნდობის არარსებობის პირობებში, მისი ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი უფრო და უფრო უარესდება.[15] ქაოსურად ხდებოდა სხდომების გადადება, საბჭოს ვებგვერდზე არ ქვეყნდებოდა სხდომების ოქმები და მიღებული გადაწყვეტილებები, შეზღუდული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემა, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თვითნებურ პრაქტიკას ადასტურებს.

1.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

2023 წელს საია აგრძელებდა სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს, რომლის შედეგად, გამოვლინდა[16] სასამართლო კონტროლის სისუსტე აღკვეთის ღონისძიებებთან, დაკავების კანონიერებასა და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით.

მოსამართლეები საჯარო სხდომებზე არ მსჯელობენ პირთა დაკავების კანონიერებაზე, თუ დაცვის მხარე ამის შესახებ შუამდგომლობას არ წარადგენს. იშვიათად გამოიყენება, პატიმრობისა და გირაოს გარდა, სხვა აღკვეთის ღონისძიებები, რაც, როგორც სასამართლოს, ისე ბრალდებისა და დაცვის მხარის არასაკმარისი მონდომებით აიხსნება და საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებას ადასტურებს. სასამართლო, აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, დამატებით ვალდებულებებს იყენებდა თითქმის ყოველ მეხუთე საქმეზე. კვლავ გამოწვევაა, რომ მხარეს, აღკვეთის ღონისძიებისგან დამოუკიდებლად, არ აქვს დამატებითი ვალდებულების ზედა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. მაღალია გირაოს და პატიმრობის დაუსაბუთებლად ან არასათანადო დასაბუთებით გამოყენების მაჩვენებელი. პროკურატურა ბრალდებულის პიროვნების, მისი ქონებრივი მდგომარეობისა და ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების შესასწავლად ყველა შემთხვევაში არ ცდილობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვებას და სასამართლოში წარდგენას. არაერთი მოწოდების მიუხედავად, არ გამოვლენი-

[13] იუსტიციის უმაღლესი საბჭო ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გიორგაძეს უვადოდ არ გადანიშნავს, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/iusticiis-umaghlesi-sabtcho-bolnisis-raionuli-sasamartlos-mosamartle-nino-giorgadzes-uvadod-ar-gadanishnavs#sthash.hTTNtkyO.dpbs, განახლებულია: 09.01.2024.

[14] „რატომ დასაჯა იუსტიციის საბჭომ მოსამართლე ნინო გიორგაძე“, საინფორმაციო პორტალი „საქართველოს ამბები“, 2023 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/ratom-dasaja-iustitsiis-sabchom-mosamartle-nino-giorgadze?fbclid=IwAR0Wgo-FyxKZalRC3O9GKlZr4dCZ70pF6guuFxJojdbJcnUyLWBmtYeWG-k, განახლებულია: 01.11.2023.

[15] ნოზაძე ნ. „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №11“, 2023 წლის 21 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49nUuPQ, განახლებულია: 12.09.2023.

[16] საია, „სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №17 ანგარიში“, 2024.

ლა შემთხვევა, როცა პროკურატურა საკუთარი ინიციატივით ითხოვს შეფარდებული პატიმრობის ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას. მართალია, მოსამართლეები, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე, პატიმრობის მიზანშეწონილობას პერიოდულად გადასინჯავენ, თუმცა ხშირად ამას ფორმალური ხასიათი აქვს და პრაქტიკაში არცთუ ქმედითი მექანიზმია.[17]

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ[18] აღმოფხვრა ის ბუნდოვანება, რომელზე აპელირებითაც ზოგიერთი მოსამართლე დაკავებულ პირებს უაპელაციოდ უფარდებდა გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით.

უმეტესად, ფორმალურია საპროცესო შეთანხმების სხდომები. მოსამართლეები სრულყოფილად არ განმარტავენ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს და სათანადოდ არ იკვლევენ შესაბამისი სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობას. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულმა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმა წინასწარ გადაიხადა. ასეთი ფაქტები კიდევ უფრო აკნინებს ამ ნაწილში სასამართლოს როლს. მონიტორინგის შედეგად ასევე გამოკვეთა, რომ საგრძნობლადაა გაზრდილი საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმის საშუალო ოდენობა.[19]

ბოლო პერიოდში გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რიცხვი, თუმცა ეს, უმეტესად, ოჯახურ დანაშაულებზე გამოტანილ გამამართლებელ განაჩენებს უკავშირდება. როგორც წესი, ბრალდების მხარე გაცხადებულ მიზნად ისახავს, შეუწყნარებელი პოლიტიკა ჰქონდეს სავარაუდო ოჯახში მოძალადეების მიმართ და, უმეტესად, მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას ითხოვს. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს მიდგომა უფრო ლოიალურია. ზოგიერთი მოსამართლე ჯეროვნად არ აფასებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე ოჯახში ძალადობაში ბრალდებულ პირთაგან მომდინარე საფრთხეებს. ამ ტიპის დანაშაულებზე, წინა წელთან შედარებით, 9%-ით არის შემცირებული აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი. გირაოს გამოყენების შემთხვევები კი 10%-ითაა გაზრდილი.[20]

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გაჭიანურებული სამართალწარმოება, კანონმდებლობით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადების დარღვევა და წლების განმავლობაში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები. ასევე, პრობლემაა სხდომების ხშირი გადადება და დაგვიანებით დაწყება.

იმის მიუხედავად, რომ ბოლო დროს პანდემია ნაკლებად აქტუალური იყო, სასამართლოები, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადამდე (2023 წლის 1-ელ იანვრამდე), მაქსიმალურად იყენებდნენ სხდომების დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად ჩატარების შესაძლებლობას. კანონმდებელს ამ დრომდე არ შეუტანია შესაბამისი ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დისტანციურად სხდომების ჩატარებისთვის შესაბამისი რეგულირების შემოსაღებად.

---

[17] იქვე.

[18] საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ODsFHR, განახლებულია: 10.01.2024.

[19] საია, „სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №17 ანგარიში“, 2024.

[20] იქვე.

გამოწვევაა სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება. პირველი წარდგენის სხდომების თაობაზე ინფორმაცია, უმეტესად, არ ქვეყნდება.

სასამართლოები, ხშირ შემთხვევაში, არ გასცემენ საჯარო ინფორმაციებს იმ არგუმენტით, რომ კონკრეტულ მონაცემებს არ ამუშავებენ, მაშინ, როცა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საჯარო უწყების მოვალეობაა. ხელმისაწვდომობა, მათ შორის, მოიცავს, მიმართვის შემთხვევაში, იმ მონაცემების დამუშავებასაც, რომლებსაც უწყება საკუთარი სურვილით არ აქვეყნებს.

გამოწვევაა პროკურორის დადგენილებით ბრალდებულთათვის გარე სამყაროსთან კონტაქტის დაუსაბუთებლად შეზღუდვა. ამასთანავე, ადვოკატთან სატელეფონო საუბრის შეზღუდვა არღვევს ბრალდებულის დაცვის უფლებას.

1.3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული სამართალწარმოება

საპროტესტო აქციებზე კვლავ იკვეთება უკანონო მასობრივი დაკავებების პრაქტიკა. შსს დაკავებულ პირებს, უმეტესად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას ედავება, რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობას და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას. სასამართლო მათ მიმართ სანქციის სახედ, ძირითადად, ჯარიმას იყენებდა. 7-8 მარტს მოქალაქეების პროტესტის წინააღმდეგ პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პარალელურად, გამოვლინდა აქციის მონაწილეთა მასობრივი უკანონო დაკავებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მიმართ ძალადობის ფაქტებიც. დემონსტრანტებს, უმეტესად, აკავებდნენ შემთხვევითობის პრინციპით - არა კონკრეტულ სამართალდამრღვევ პირებს ინდივიდუალურად, არამედ ხშირად მათაც, ვინც აქციის დაშლის ოპერაციისას, უბრალოდ, „ხელში მოჰყვებოდათ“.[21] სამართალდამცავებს არ გაუუმჯობესებიათ მიდგომები დაკავებულ პირთათვის უფლებების განმარტების კუთხით. ამ პრაქტიკის შესახებ არაერთი დაკავებული და მათი ინტერესების დამცველი მიუთითებდა. რამდენიმე დაკავებულმა აღნიშნა, რომ ზარის განხორციელების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობაც კი არ მიეცათ.[22] 7-8 მარტის აქციების დროს დაკავებულ პირთა საქმეებმა ასევე გამოავლინა ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შედგენასთან დაკავშირებული ხარვეზები, მათ შორის, მასში არასწორად მითითებული დაკავების დრო, აგრეთვე, დამკავებელი სამართალდამცავების შესახებ გაყალბებული ინფორმაციები.[23]

2023 წლის 7-8 მარტს, უმეტესად, გახანგრძლივებული ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა გამოვლინდა. ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარედგინება სასამართლოს. მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, ეს ვადა შეიძლება ერთჯერადად გახანგრძლივდეს არაუმეტეს 24 საათისა. ამ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს

[21] საია, „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, 7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება“, 2023, გვ. 44, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/givQ4, განახლებულია: 10.12.2023.
[22] იქვე, გვ. 48.
[23] იქვე, გვ. 50

შესაბამისი თანამშრომელი წერილობით ასაბუთებს ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობას, თუმცა, ხშირად, ის არ იყო საკმარისად დასაბუთებული.[24]

პრობლემური იყო დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების მოსაპოვებლად არაგონივრული ვადის, მხოლოდ 2-3 საათის მიცემა, მით უმეტეს, როდესაც ზოგიერთი ადვოკატი სასამართლოში პირველად ხვდებოდა თავის დაცვის ქვეშ მყოფს და ამ დროში უნდა მოესწრო მასთან გასაუბრება, ასევე ვიდეომასალისა და საჭირო მტკიცებულებების მოპოვება. ადვოკატები წუხილს გამოთქვამდნენ სასამართლოს მიერ პროცესების ღამით ჩატარების გაუმართლებელ პრაქტიკაზეც.[25]

პრობლემად რჩება სასამართლოს მიერ ამ ტიპის საქმეებზე მიღებული დადგენილებების დასაბუთების ხარისხიც. როგორც წესი, დადგენილებებში არ არის მოცემული ექსპლიციტური განმარტება მთავარ კითხვაზე, რა ქმედებით ჩაიდინეს პირებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. შესაბამისად, სასამართლოს დასაბუთება მოკლებულია საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე არგუმენტებზე მსჯელობას, რაც შეუთავსებელია როგორც ადგილობრივ კანონმდებლობასთან, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან.[26]

2023 წელს გრძელდებოდა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღება არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. საქმის განხილვისას, როგორც წესი, მოსამართლეთა ნაწილი არ სთხოვს შსს-ს თანამშრომლებს, წარმოადგინონ, მაგალითად, სამხრე კამერების ჩანაწერები. პოლიცია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ფორმის ტანსაცმელზე დაამონტაჟოს/განათავსოს და გამოიყენოს ფოტო-ვიდეო ტექნიკა ან მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ტექნიკური აღჭურვილობა.[27] ნეიტრალური მტკიცებულების საჭიროებიდან გამომდინარე, აქციებზე, სადაც, მოქალაქეთა დაკავების მომეტებული რისკი არსებობს, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავებმა იქონიონ სამხრე კამერები და ჰქონდეთ ის ჩართული. ადვოკატების თქმით, სამხრე კამერების ჩანაწერების წარმოდგენას ითხოვდნენ, თუმცა, ძირითად შემთხვევებში, პოლიციელებს, დამკავებელ პირებს ისინი არ ჰქონდათ. შსს-ს წარმომადგენელთა არგუმენტით, მათ მოიხსნეს კამერები, რათა აქციის მიმდინარეობისას არ დაზიანებულიყო, ზოგი კი აცხადებდა, რომ კამერა მოსძვრა, დაუვარდა, ან არ ჰქონდა ჩართული.[28]

პრობლემურია ადვოკატებისთვის ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებთან შეხვედრა, რაც განპირობებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ხელოვნური ბარიერების შექმნით. 2023 წელს რამდენიმე ასეთ ფაქტთან დაკავშირებით საიამ მიმართა სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ადვოკატთა საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტების შესწავლისა და მათზე რეაგირების მიზნით. ადვოკატთა ასოციაცია შეფასებაში ხაზს უსვამს დაკავებულ პირთან ადვოკატის დაუყოვნებლივი და შეუფერხებელი შეხვედრის უფლების კრიტიკულ მნიშვნელობას სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების

[24] იქვე, გვ. 51.
[25] იქვე, გვ. 52.
[26] იქვე.
[27] იქვე.
[28] იქვე, „საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ“.

პროცესში.[29] ადვოკატთა ასოციაციამ მითითებულ ფაქტებზე რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. ამ დრომდე სამინისტროს მხრიდან უკუკავშირის თაობაზე ცნობილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა შემუშავებულიყო ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამუშაო ვერსია.[30] თუმცა, ის დაინტერესებული პირებისთვის არ წარუდგენიათ. ახალი კოდექსის პროექტის შემუშავებისა და მის მისაღებად საჭირო პროცედურების დაწყების ნაცვლად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად, კომიტეტის ინიციირებით, არსებულ კოდექსში არაერთი არაარსებითი ცვლილება შევიდა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პირველი საკითხი, წინა წლის გეგმის მსგავსად, სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალ კოდექსზე მუშაობას შეეხება. გეგმის მიხედვით, ამჯერად უკვე 2023 წელს უნდა შემუშავებულიყო კანონპროექტის სამუშაო ვერსია.[31] მოთხოვნის მიუხედავად, წლის განმავლობაში განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესახებ ინფორმაცია პარლამენტმა საიას არ მიაწოდა.[32]

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას ასევე გამოვლინდა პერსონალური მონაცემების დარღვევის ფაქტები, კონკრეტულად, შეტყობინების რეგისტრაციის დოკუმენტში მოცემული იყო სხვა დაკავებულთა სახელები, გვარები, დაბადების წელი და დაკავების საფუძველი. ამის გამო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამრღვევად ცნო.[33] აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ უკვე არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული მონაცემების უკანონო დამუშავებასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, დღემდე პრობლემურია უწყებაში მსგავსი პრობლემების სისტემური გადაწყვეტა.[34]

---

[29] სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის 14 სექტემბრის წერილი, №26/23.

[30] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/samoqm-gegm/iuridiuli-samoqmedo-gegma-22.pdf, განახლებულია: 10.12.2023.

[31] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/samoqm-gegm/iuridiuli_samoqmedo-2023.pdf.

[32] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მაისის წერილი №3986/2-7/23; 2023 წლის 4 დეკემბრის წერილი №9298/2/7/23.

[33] საია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამრღვევად ცნო“, 07.04.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/personalur-monacemta-dacvis-samsakhurma-saqartvelos-shinagan-saqmeta-saministro-samartaldamrghvevad-cno#sthash.VSHmXxc9.dpbs განახლებულია: 10.12.2023.

[34] „შინაგან საქმეთა სამინისტრო პერსონალურ მონაცემებს უკანონოდ ამუშავებს“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/shinagan-saqmeta-saministro-personalur-monacemebs-ukanonod-amushavebs, განახლებულია: 10.12.2023.
„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამრღვევად ცნო“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/sakhelmtsifo-ispeqtoris-samsakhurma-saqartvelos-shinagan-saqmeta-saministro-samartaldamrghvevad-cno, განახლებულია: 10.12.2023.

1.4. გარემოსდაცვითი მართლმსაჯულება

გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების სათანადო დაცვის გარანტიაა. თუმცა, საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, პრობლემურია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით სათანადოდ სარგებლობა. ხშირად კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს კანონმდებლობის ნორმათა დარღვევით იღებენ, სათანადოდ არ იკვლევენ საქმის გარემოებებს და, შესაბამისად, ვერ აფასებენ პროექტის შესაძლო უარყოფით ზეგავლენას გარემოსა და ადამიანზე.[35] გადაწყვეტილების მიმღები პირები გარემოსდაცვით და მშენებლობის ნებართვებს, არაერთ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული კვლევების გარეშე გასცემენ.[36] პრობლემურია, წარდგენილი კვლევების ხარისხიც.[37] ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასამართლოში გასაჩივრება კი, ძირითადად, არ არის უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი. სასამართლო პროცესი დროში გაწელილია,[38] იშვიათად ხდება გასაჩივრებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც აუცილებელია გარემოსა და ადამიანისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თავიდან ასარიდებლად.[39] ამასთანავე, დაინტერესებულ პირებს ზოგჯერ ხელი არ მიუწვდებათ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. არასათანადოდაა უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი შინაარსობრივი ჩართულობაც, რაც აუცილებელია გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისთვის.[40] გარდა ამისა, დიდ ხარჯებს უკავშირდება სასამართლო პროცესებზე მტკიცებულების სახით წარსადგენი საექსპერტო/სამეცნიერო დასკვნების მომზადება. დამატებით, შესაძლოა, რთული იყოს შესაბამისი ექსპერტის მოძიებაც. ასევე, იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანს ხელი არ მიუწვდება უფასო იურიდიულ დახმარებაზე, შეიძლება დიდ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული სასამართლო პროცესში ადვოკატების ჩართულობაც, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით.[41]

---

[35] საია, „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგი გარემოსდაცვით საქმეებზე“, 2024; საია, „სტრატეგიული სამართალწარმოება მსხვილი ჰიდროპროექტების მშენებლობის წინააღმდეგ“ (2021), ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/2020/.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[36] საია, „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგი გარემოსდაცვით საქმეებზე“, 2024.

[37] 2022-2026 წლების საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (2022) 16.

[38] UNDP, “Access to Environmental Justice in Georgia: Baseline Assessment” (2023) 44.

[39] UNDP, “Access to Environmental Justice in Georgia: Baseline Assessment” (2023) 43.

[40] UNDP, “Access to Environmental Justice in Georgia: Baseline Assessment” (2023) 5; „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია.

[41] საია, „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგი გარემოსდაცვით საქმეებზე“, 2024.

2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

2023 წელი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევებით გამოირჩეოდა. ამის უპირველესი გამოვლინება 2023 წლის 7 მარტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის მიერ, 76 ხმით 13-ის წინააღმდეგ, პირველი მოსმენით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის მიღება იყო.[42] ეს ინიციატივა სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციასა და გაჩუმებას ისახავდა მიზნად,[43] ამასთანავე, მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენდა ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ გარანტიებზე.[44] მოგვიანებით, მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად, კანონპროექტი გაიწვიეს, თუმცა, უფლებადამცველების წინააღმდეგ კამპანია მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა ფორმით[45] (მაგალითად, მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები,[46] არასამთავრობო ორგანიზაციების მადისკრედიტირებელი სიუჟეტები[47]).

2.1. შეკრებისა და გაერთიანების უფლება

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მშვიდობიანი შეკრების უფლების რეალიზების ხელშეშლის, მასში მომეტებული ჩარევის, თავისუფალი გამოხატვისთვის სივრცის შევიწროების პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან აქციებზე, რომლებიც შე-

[42] საია, „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ: 7-9 მარტის აქციის დაშლისა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება“, თბილისი, 2023. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/wyBD3, განახლებულია: 10.01.2024.

[43] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ“, განცხადება, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/szEO5, განახლებულია: 10.01.2024.

[44] ეუთოს დასკვნა Note on Legislative Initiatives on Transparency and Regulation of Associations Funded from Abroad or So-called “Foreign Agents Laws” and Similar Legislation and their Compliance with International Human Rights Standards, 25 July 2023, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/2/9/556074.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[45] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor Preliminary observations and recommendations Tbilisi - 7 November 2023, ხელმისაწვდომია: https://georgia.un.org/sites/default/files/2023-11/Statement_Eng.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[46] პაპუაშვილი ასევე ბრალს სდებს სამოქალაქო საზოგადოებას უცხოური და არაეროვნული ინტერესების დაცვაში. იხ. „შალვა პაპუაშვილი - უცხოური დაფინანსებით მულტიმილიონერი „ენჯეოები“ მოქმედებენ არა საქართველოს, არამედ დამფინანსებლის ინტერესებით“, 13.12.2023, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/781217, განახლებულია: 10.01.2024; როგორც კობახიძე განმარტავს, NGO-ების ერთადერთი მიზანია, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება არ მოხდეს, რათა ეს მთავრობის გადაყენების მოთხოვნისთვის გამოიყენონ, 28.06.2023, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-sharshan-garkveul-dzalebs-hqondat-konkretul-sakhelmwifoebze-zemoqmedebis-berketi-da-vfiqrobt-ase-daiblokastatusis-monicheba-es-iyo-gare-zemoqmedebit-nakarnakhevi-gadawyvetileba/, განახლებულია: 10.01.24; კობახიძე - არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური საქმიანობა ბუნდოვანია, 10.06.2023; ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/759366-irakli-kobaxize-arasamtavroboebze-roca-shen-tviton-gaurbixargamchvirvalobas-da-sajaro-moxeleebisgan-met-gamchvirvalobas-itxov-zalian-rbilad-rom-vtkvat-ormagi-standartia/, განახლებულია: 10.01.24; ირაკლი კობახიძე - სამწუხაროა, რომ „ენჯეოების“ დაფინანსება არ არის გამჭვირვალე, ამ დაფინანსების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება ექსტრემისტული ღონისძიებების განხორციელებას, 31.10.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vb10JP, განახლებულია: 10.01.2024.

[47] ტელეკომპანია „იმედის“ 2023 წლის 30 ოქტომბრის სიუჟეტი „არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელისუფლებას ყველაფერზე აკრიტიკებენ და ყველა თემას აფასებენ, ოპოზიციაზე ვერაფერს და არაფერს ამბობენ“, ხელმისაწვდომია: https://www.imedi.ge/ge/video/140923/arasamtavrobo-organizatsiebi-romlebitskhelisuplebas-kvelaperze-akritikeben-da-kvela-temas-apaseben-opozitsiaze-verapers-da-arapers-amboben#!?from=857520000&page=1&type=1, განახლებულია: 10.01 2024; ტელეკომპანია „იმედის“ 2023 წლის 28 მაისის სიუჟეტი „არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების კანონპროექტი ისრაელში“, ხელმისაწვდომია: https://www.imedi.ge/ge/video/128187/arasamtavrobo-organizatsiebis-dapinansebis-kanonproeqti-israelshi, განახლებულია: 10.01.2024.

იძლება პოლიტიკურად უფრო მეტად მგრძნობიარე საკითხებს ეხებოდეს, ხელისუფლება არ იჩენდა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპებისადმი ერთგულებას. კონსტიტუციური ღირებულებები ***„[...] მოითხოვს, რომ ქვეყნის სამართალი უზრუნველყოფდეს ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებების სრული მოცულობით აღიარებასა და მათი დაცვის ყველა საჭირო გარანტიის შექმნას“.***[48]

ამ პრაქტიკას ადასტურებს 2023 წლის მარტში ე.წ. აგენტების კანონპროექტების, კონკრეტულად კი, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ რუსული სტილის საკანონმდებლო გზით უფლებადამცველებისა და მედიის დევნის მცდელობის წინააღმდეგ მიმართული მასობრივი სამოქალაქო საპროტესტო აქციების დაშლის დროს გამოყენებული ძალაც. 2023 წლის 7-8 მარტს სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების კანონიერებისა და პროპორციულობის შეფასების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან არაერთგზის დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით, ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული ვალდებულებები.[49] მათ შორის, გამოვლინდა: ლოკალური ხასიათის დარღვევებზე ინდივიდუალური და შეზღუდული რეაგირების ნაცვლად, მშვიდობიანი აქციის დაშლის უკანონო გადაწყვეტილებების მიღება; ზოგ შემთხვევაში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე სპეციალური საშუალებების გამოყენების დაწყება; აქციის დაშლის ოპერაციისას და, შესაბამისად, სპეციალური საშუალებების გამოყენებისას, სამართალდამრღვევი და მშვიდობიანი მონაწილეების ერთმანეთისგან გამიჯვნის ვალდებულების დარღვევა; სპეციალური საშუალებების ერთდროულად და პარალელურად გამოყენება; სპეციალური საშუალებების უკანონოდ და არაპროპორციული ძალით გამოყენება (წიწაკის სპრეის სახეში შესხმა, წყლის ჭავლის დამიზნებით გამოყენება; ცრემლსადენი გაზის კაფსულების დამიზნებით სროლა); აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფიზიკური ძალის გამოყენება, მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა.[50]

2023 წელს სხვა მცირემასშტაბიანი აქციების მონიტორინგის შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ შეკრების თავისუფლება მომეტებულად **იზღუდება არა მარტო აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებით, არამედ, აგრეთვე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი გარანტიების გარეშე ტოვებს ადამიანე-**

[48] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/466, 28.06.2010, II, 2.

[49] იქვე გვ. 8

[50] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ: 7-9 მარტის აქციის დაშლისა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება“, თბილისი, 2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/wyBD3, განახლებულია: 10.01.2024.

ბს.[51] ამის მაგალითები იყო: 2-3,[52] 7-9 მარტს[53] და 18 ნოემბერს[54] - თბილისში, 20 მაისს - ყვარელში,[55] 3 ივნისს[56] და 31 ივლისს[57] - ბათუმში განვითარებული მოვლენები. შედეგად, პოლიციამ მშვიდობიან შეკრებებში მონაწილე ასობით პირი დააკავა. მათ შორის იყვნენ რიგითი მოქალაქეები, აქტივისტები, მედიის წარმომადგენლები.

მაგალითად, 7-9 მარტის მოვლენების დროს ადმინისტრაციული წესით დაკავებული აქციის ერთ-ერთი მონაწილის, გ.მ-ის საქმეში დგინდება, რომ ის დააკავეს მაშინ, როდესაც სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან სხვა პირზე სავარაუდო ძალადობის ფაქტს ტელეფონით იღებდა და პოლიციელებს მოუწოდებდა, აქციის მონაწილეზე არ ეძალადათ. სამართალდამცავთა განმარტებით, გ.მ. იმის გამო დააკავეს, რომ ის არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას, გაეთავისუფლებინა გზის სავალი ნაწილი, იმის მიუხედავად, რომ იგი ტროტუარზე გადაადგილდებოდა. მან 35 საათზე მეტი გაატარა დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო სახელმწიფოს არ დაუსაბუთებია დაკავების ვადის გახანგრძლივების მიზეზები. ამ საკითხით არც მოსამართლე დაინტერესდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას. საიამ ამ საქმეზე გ.მ-ს სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით მიმართა.[58]

გადაადგილების შეზღუდვა შეკრების უფლებაში ჩარევის მიზნით

2023 წელს არ აღმოფხვრილა, შეკრების უფლებაში ჩარევის მიზნით, გადაადგილების შეზღუდვის პრაქტიკა. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს უფლებას აძლევს, მოქალაქეს მოსთხოვოს კონკრეტული ტერიტორიის დატოვება.[59] ამ მუხლს სახელმწიფო ადამიანთა შეკრებისა

---

[51] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანცვლილებებზე საიამ პარლამენტს წერილობითი მოსაზრებები წარუდგინა, 02.03.20203, https://www.gyla.ge/ge/post/administraciul-samartaldarghvevata-kodeqsshi-shesatan-cvlilebebze-saia-m-parlaments-tserilobiti-mosazrebebi-tsarudgina#sthash.dT8RPO0q.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[52] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, 02.03.2023, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociaciis-ganckhadeba#sthash.QoNjWtMn.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[53] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა“, 08.03.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/mshvidobiani-samoqalaqo-protestis-tsinaaghmdeg-policiam-ukanono-da-araproporciuli-dzala-gamoiyena#sthash.5xZ5PERB.97s2nely.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[54] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საია მოუწოდებს შსს-ს, უზრუნველყოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე მყოფი პირების შეკრების თავისუფლება“, 18.11.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/aia-moutsodebs-shss-s-uzrunvelyos-garemos-dacvisa-da-soflis-meurneobis-saministrostan-mshvidobian-saprotesto-aqciaze-myofi-pirebis-shekrebis-tavisufleba#sthash.zSeOsDaR.XtU1YX6X.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[55] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება ყვარელში მიმდინარე მოვლენებზე, 20.05.2023, ხელმისაწვდომია: https://t.ly/EIFfO, განახლებულია: 10.01.2024.

[56] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „უკანონო ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა ბათუმში გრძელდება“, 04.06.2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/MSW25, განახლებულია: 10.01.2024.

[57] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს არღვევს“, 01.08.2023, ხელმისაწვდომია: http://surl.li/ofass, განახლებულია: 10.01.2024.

[58] საია „რუსული კანონის“ გაპროტესტების დროს უკანონოდ დაკავებული აქციის მონაწილის უფლებებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დაიცავს, 24.10.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-rusuli-kanonis-gaprotestebis-dros-ukanonod-dakavebuli-aqciis-monatsilis-uflebebs-adamianis-uflebata-evropul-sasamartloshi-daicavs, განახლებულია: 10.01.2024.

[59] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 25-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვისთვის იყენებს. პოლიციას ამ უფლებამოსილების განხორციელება უნდა შეეძლოს მხოლოდ მაშინ, როდესაც აქვს სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, რა კონკრეტულ დანაშაულს ჩაიდენს ადამიანი კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის შემთხვევაში, რა საშუალებების გამოყენებით იძალადებს ან ჩაშლის ამა თუ იმ ღონისძიებას. ასევე, უნდა შეფასდეს, რამდენად რეალური და მყისიერია ის საფრთხე, რომელიც ამ პირისგან მომდინარეობს და აქვს თუ არა მას წარსულში ძალადობრივი ქმედებების ჩადენის გამოცდილება. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით საიამ 2023 წლის 3 აგვისტოს სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. ორგანიზაციის მოსაზრებით, არაკონსტიტუციურია როგორც სამართალდამცავი უწყების, ისე სასამართლოს განმარტება.[60] საკონსტიტუციო სასამართლომ საიას სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღო.მან უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ პოლიციამ ადამიანს გადაადგილების თავისუფლება შეიძლება შეუზღუდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ადამიანი ქმნის რეალურ, და არა - აბსტრაქტულ, საფრთხეს. ამ საქმეში ნათელი იყო, რომ მოსარჩელე არანაირ საფრთხეს არ ქმნიდა, თუმცა მას გადაადგილების თავისუფლება შეუზღუდეს.[61] ამ მსჯელობის პარალელურად, სასამართლოებმა ისე მიიღეს პირის სამართალდამრღვევად ცნობის გადაწყვეტილება, რომ არ შეუფასებიათ მისგან მომდინარე საფრთხის რეალურობა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ პრობლემად არ მიიჩნია.

რეზინის ტყვიების გამოყენების არაკონსტიტუციური კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება „სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისას ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენების შესახებ“ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სახელმძღვანელო დებულებებს.[62] საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული რეზინის ზედაპირის მქონე ფოლადის ტყვიის გამოყენება, რომელიც ადამიანის სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიშია. ამასთანავე, არსებული რეგულაცია არ კრძალავს რეზინის ტყვიის სროლას შემაღლებული ადგილიდან, რაც აქციის მონაწილეებისთვის მისი თავის არეში მოხვედრის საფრთხეს აჩენს. საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული იარაღიდან რეზინის ტყვიის ჯერის, ასევე, არაპირდაპირი, რიკოშეტის ეფექტით სროლა, როცა შეიძლება რეზინის ტყვიის საფანტი, მყარ ზედაპირზე მოხვედრის შედეგად, გაიშალოს. იარაღიდან ერთდროულად რამდენიმე რეზინის ტყვიის სროლამ, ძალადობრივი ქმედების ჩამდენ პირთან ერთად, შეიძლება დააზიანოს ადგილზე შემთხვევით მოხვედრილი ადამიანიც. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საფრთხეს შეიცავს აგრეთვე ტყვიის გაფანტვა. ეს არა მხოლოდ საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, არამედ, უმეტესად, გამოიყენება შეკრების უფლებაში ჩარევის მექანიზმად.

---

[60] საია საკონსტიტუციო სასამართლოში „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებულ კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას ასაჩივრებს, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-sakonstituciosasamartloshi-policiis-shesakheb-saqartvelos-kanonit-datsesebul-konkretul-teritoriaze-shesvlis-akrdzalvas-asachivrebs, განახლებულია: 10.01.2024.

[61] საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის განჩინება, საქმეზე N1/32/1791, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16065, განახლებულია: 11.01.2024.

[62] „გაიდლაინი სამართალდამცავ სისტემაში ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/HRBodies/CCPR/LLW_Guidance.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს არავითარ გარანტიას, რომ რეზინის ტყვია გამოიყენებოდეს, მხოლოდ როგორც უკანასკნელი საშუალება ძალადობრივი ქმედების აღსაკვეთად, როცა სხვა ნაკლებად დამაზიანებელი საშუალებით მისი აღკვეთა ვერ ხერხდება. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელს უტოვებს შესაძლებლობას, ჯერ გამოიყენოს რეზინის ტყვია, ხოლო შემდეგ აკუსტიკური საშუალება, მაშინ, როდესაც რეზინის ტყვია უფრო დამაზიანებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ვიდრე აკუსტიკური საშუალება. ამასთანავე, რეზინის ტყვიის გამოყენება არ არის შემოფარგლული მხოლოდ იმ შემთხვევით, როცა პოლიციის ან სხვა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. კანონმდებლობა ასევე არ ადგენს, რომ პოლიციამ რეზინის ტყვია გამოიყენოს მხოლოდ იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ამგვარ საფრთხეს ქმნის და არა იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებიც ძალადობრივ ქმედებას არ სჩადიან.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საიამ 2023 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების ის ნორმები, რომლებიც სახელმწიფოს, სათანადო გარანტიების გარეშე, რეზინის ტყვიის გამოყენების უფლებამოსილებას ანიჭებს.[63]

კარვის გაშლის უფლების აკრძალვა

მიუხედავად იმისა, რომ შეკრებისა და გამოხატვის უფლების რეალიზებისას კარვის გაშლის შესახებ არსებობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დადგენილი პრაქტიკა, სახელმწიფო, პერიოდულად, ცდილობს, ხელი შეუშალოს პირებს ამ უფლების განხორციელებაში. შედეგად, ადამიანები, არათუ სათანადოდ ვერ სარგებლობენ შეკრებისა და გამოხატვის უფლებით, არამედ სასამართლო მათ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად მიიჩნევს.

იმ პირებს, რომლებსაც პროტესტის გამოხატვის მიზნით სურთ კარვის გაშლა, პოლიცია, უმეტესად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე აკავებს, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს. თავის მხრივ, სასამართლო, რომელიც ამ ტიპის საქმეს იხილავს, არ იკვლევს, რამდენად კანონიერი იყო პოლიციელის მოთხოვნა კარვის აღებასთან დაკავშირებით და პირს სამართალდამრღვევად ცნობს.

სწორედ ამგვარი შემთხვევის გამო, საიამ 2023 წლის 14 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა ევროპული კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლების დარღვევის დადგენის მოთხოვნით.[64]

---

[63] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საიამ რეზინის ტყვიების გამოყენების საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-rezinis-tyviebis-gamoyenebis-sakitkhi-sakonstitucio-sasamartloshi-gaasachivra, განახლებულია: 10.01.2024.

[64] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საია კარვის გაშლის გამო პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ასაჩივრებს“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-karvis-gashlis-gamo-piris-administraciul-samartaldamrghvevad-cnobas-adamianis-uflebata-evropul-sasamartloshi-asachivrebs, განახლებულია: 10.01.2024.

2.2. მედია და გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კანონმდებლობითა და კონსტიტუციით. ამ კუთხით სახელმწიფოს მიდგომა ყველაზე პროგრესულად მიიჩნევა კავკასიაში.[65] ამ მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებაში, შესაბამის კანონებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ.[66] **სამართლებრივი გარანტიების მიუხედავად, გამოხატვის თავისუფლებას პრაქტიკაში რამდენიმე საკვანძო საკითხი აფერხებს.**

კრიტიკული მედიის წარმომადგენლების ფიზიკური უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობა გაუარესებულია. საგამოძიებო პროცესი, უმეტესწილად, ხარვეზებით ხასიათდება. **ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ პოლიტიკას და მის წამახალისებელ პრაქტიკას, რაც, მათ შორის, მოძალადეთა დაუსჯელობაში გამოიხატება, დამაზიანებელი ეფექტი აქვს მედიის თავისუფლების ხარისხზე. საგანგაშოა, რომ 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორებიდან არცერთი ამ ეტაპზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არ არის.**[67] ეს დასტურდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო წყაროებით.[68] **Freedom House-ის** 2023 წლის ანგარიშის თანახმად, დამოუკიდებელი მედიის კლასიფიკატორში მდგომარეობა გაუარესდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი საქართველოში კრიტიკული ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და შევიწროების ტენდენციაა გახდა.[69] პრობლემურია 2023 წელს პარლამენტში ჟურნალისტების აკრედიტაციასთან დაკავშირებით მიღებული წესები,[70] ასევე, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში გათვალისწინებული ცვლილებები, რომლებსაც პარლამენტი დაჩქარებული წესით, დაინტერესებული მხარეების ჩართვის გარეშე იღებს.[71]

ჟურნალისტების უფლებრივი მდგომარეობა საპროტესტო აქციებზე

2023 წელს საპროტესტო აქციებზე მედიის წარმომადგენლებს არაერთხელ მიზანმიმართულად შეეზღუდათ პროფესიული საქმიანობა და კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება. სამართალდამცავები ხშირად მიმართავდნენ

---

[65] Freedom House-ის ანგარიში, 2022, ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2021, განახლებულია: 10.01.2024.

[66] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე N1/6/561568, საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[67] იხ. „2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენები ამ დრომდე სათანადოდ არ არის გამოძიებული“, 05.07.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/2021-tslis-5-6-ivliss-ganvitarebuli-movlenebi-am-dromde-satanadod-ar-aris#sthash.2xswL6FH.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[68] HRC, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5, 13.09.2022, para 43 (b). See the Council of Europe Human Rights Commissioner's report following her visit to Georgia, July 2022.

[69] საქართველოს შეფასება FREEDOM HOUSE-ის ანგარიშის მიხედვით - მდგომარეობა გაუარესებულია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 24.05.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-shefaseba-freedom-house-is-angarishis-mikhedvit-mdgomareoba-gauaresebulia, განახლებულია: 10.01.2024.

[70] კოალიცია ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტებისთვის პარლამენტში აკრედიტაციის შეჩერებას ეხმაურება, 06.05.2023, ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/1ad4d65e, განახლებულია: 10.01.2024.

[71] მედიის ადვოკატირების კოალიცია საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების მოდელის ცვლილებებს აკრიტიკებს, 17.11.2023, ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/371c3a11, განახლებულია: 10.01.2024; საქართველო: სამოქალაქო საზოგადოებისა და კრიტიკული ხმების რეპრესიების ტენდენცია ახალი სამართლებრივი ცვლილებებით გრძელდება, 07.11.2023, ხელმისაწვდომია: https://csometer.info/updates/georgia-trend-repression-civil-society-and-critical-voices-continues-controversial-legal, განახლებულია: 10.01.2024.

ძალადობას და იყენებდნენ არაპროპორციულ ძალას, რის შემდეგაც ადმინისტრაციული წესით აკავებდნენ ჟურნალისტებს და ოპერატორებს.[72] სასამართლოს მიერ საპროტესტო აქციების დროს დაპატიმრებული ჟურნალისტების დაჯარიმება სახიფათო პრეცედენტს ქმნის და საზიანოა მედიაგარემოსთვის.[73]

პარლამენტში ჟურნალისტთა აკრედიტაციის წესები

2023 წლის 6 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის წესი.[74] ახალი რეგულაცია 2023 წლის 7 თებერვალს შევიდა ძალაში. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, ჟურნალისტი ვალდებულია, შეწყვიტოს გასაუბრება პარლამენტის წევრის, ოფისის თანამშრომლის ან პარლამენტში მისული პირის მოთხოვნისთანავე.[75] ამგვარმა რეგულირებამ შეიძლება გამოიწვიოს აკრედიტაციის შეჩერება არასასურველი კითხვების დასმის შემთხვევაში, რადგან ბრძანებაში არ არის მითითებული, რა დროს მიიჩნევა ლეგიტიმურად ჟურნალისტისთვის ინტერვიუზე უარის თქმა ან მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნა. ეს ხელს უშლის ჟურნალისტის საქმიანობას და არაპროპორციულად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას. გარდა ამისა, ბრძანება არ მოიცავს აკრედიტაციის შეჩერების გასაჩივრების პროცედურას, რაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლების) დარღვევაა.[76] ამავე ბრძანების თანახმად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული სხდომის ფოტო-ვიდეო გადაღება შესაძლებელია მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, მის მიერ მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის გამოყოფილი ადგილიდან.[77] ამგვარი დათქმა შეიცავს ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვის რისკებს, რადგან თავმჯდომარეს შეუძლია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეუზღუდოს მედიასაშუალებას სხდომების გაშუქება. პრაქტიკაში ამ რეგულაციამ უკვე გამოიწვია კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისთვის აკრედიტაციის დისკრიმინაციული შეჩერება.[78]

---

[72] მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუქის გვერდი], 13.03.2023, მედია ადვოკატირების კოალიცია მიმართავს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და სხვა დარღვევების თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/MEDIACOALITION.GE/posts/pfbid0nom797GGQwshdEfNk5rhVKeAtmY5FoeVHWT4fsMPhtPzjgYqtKZgLoSz23ePaQyAl, განახლებულია: 10.01.2024.

[73] იქვე.

[74] იხ. ბრძანება საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის პროცედურის დამტკიცების შესახებ, 06.02.2023, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/11/akreditacia-2023.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[75] მედიააკრედიტაცია პარლამენტში, უცხო ქვეყნების გამოცდილება, საქართველოს პარლამენტის კვლევის ცენტრი, 2021 წელი, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/kvleviti-centri/kvlevebi/2/media.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[76] მანდლი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა პარლამენტების უფლება, დაარეგულიროს მედიის წარმომადგენლების ქცევა საკანონმდებლო ორგანოს შენობაში, არ არსებობდა აკრედიტაციის შეჩერების გასაჩივრების მექანიზმი, შესაბამისად, არ არსებობდა უფლებაში არამართლზომიერი ჩარევისგან დასაცავად საკმარისი გარანტიები. ამ საქმეში სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-202540%22]}, განახლებულია: 10.01.2024.

[77] ბრძანება საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის დამტკიცების თაობაზე, 06.02.2023, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/11/akreditacia-2023.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[78] კოალიცია ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტებისთვის პარლამენტში აკრედიტაციის შეჩერებას ეხმაურება, 06.05.2023, ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/1ad4d65e, განახლებულია: 10.01.2024.

ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში

2023 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილება, ჩაერიოს მაუწყებლების შინაარსობრივ საქმიანობაში, განსაკუთრებით, სიძულვილის ენასთან, ტერორიზმის წაქეზებასა და უხამსობასთან დაკავშირებით. ცვლილებები ეროვნულ კომისიას ანიჭებს პირდაპირი სანქციების დაწესების შესაძლებლობას.[79] ამგვარი რეგულაცია მაუწყებელთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და მათი შინაარსობრივი კონტროლის რეალურ საფრთხეს ქმნის, მით უმეტეს, რომ წინა წლებში კომისიის მხრიდან ასეთი ფაქტები რამდენჯერმე უკვე გამოვლინდა.

შემაშფოთებელია ასევე „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების მექანიზმს მნიშვნელოვნად შეცვლის. არსებული დაფინანსება მიბმულია მთლიან შიდა პროდუქტზე, ხოლო ახალი რეგულაციით ის სპეციალური დაფინანსების წესით შეიცვლება.[80] ამგვარი რეგულირება საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიუკერძოებლობას და ძირს უთხრის მისი დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ პერსპექტივას.

საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლების შეზღუდვა

2023 წელს მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საჯარო ინფორმაციის გაცემის გაუარესებული პრაქტიკა. წლის განმავლობაში საიას ამ საკითხზე სამართლებრივი დახმარების თხოვნით არაერთმა მედიაორგანიზაციამ მიმართა. ადმინისტრაციული ორგანოები ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან კონკრეტულ ჟურნალისტებსა და მედიაორგანიზაციებს და უარს ეუბნებიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც განცხადებები თვეების განმავლობაში უპასუხოდ რჩება, მედიისთვის კი ცნობილი არ არის, რა საფუძვლით ვერ იღებს ინფორმაციას. პრობლემის გადასაჭრელად მათ უწევთ სასამართლოსთვის მიმართვა, რომელიც ამ ტიპის საქმეებს ხშირად რამდენიმე წლის განმავლობაში იხილავს.

ინტერნეტმედიისთვის პროცესების ვიდეოგადაღების აკრძალვა

პრობლემურია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი რეგულაცია, რომლითაც სასამართლო პროცესის გადაღების ექსკლუზიური უფლება ენიჭება საზოგადოებრივ მაუწყებელს, ხოლო, თუ ის ინტერესს არ გამოხატავს, გადაღების შესაძლებლობა ეძლევა საერთო საეთერო მაუწყებელს (ტელევიზია და რადიო, რომელსაც გააჩნია საინფორმაციო პროგრამები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის გადაცემები). მოქმედი რეგულაციის მიხედვით, კონკრეტული პროცესის გადაღების მიმართ საზოგადოებრივი ან საერთო საეთერო მაუწყებლების ინტერესის არარსებობის პირობებშიც, ინტერნეტ და ბეჭდურ მედიას არ აქვს სასამართლო პროცესის გადაღების შესაძლებლობა. ამგვარი შემთხვევები

[79] საქართველო: სამოქალაქო საზოგადოებისა და კრიტიკული ხმების რეპრესიების ტენდენცია ახალი სამართლებრივი ცვლილებებით გრძელდება, 07.11.2023, ხელმისაწვდომია: https://csometer.info/updates/georgia-trend-repression-civil-society-and-critical-voices-continues-controversial-legal, განახლებულია: 10.01.2024.

[80] მედიის ადვოკატირების კოალიცია საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების მოდელის ცვლილებებს აკრიტიკებს, 17.11.2023, ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/371c3a11, განახლებულია: 10.01.2024.

გამოვლინდა ინტერნეტპორტალ „მთის ამბებსა“ და „reginfo.ge-სთან” მიმართებით. მათ თელავის რაიონული სასამართლოს მხრიდან პროცესის გადაღების უფლება შეეზღუდათ. ამ საკითხზე 2023 წლის 5 ოქტომბერს საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ სახელით მიმართა.[81]

სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული პოსტის და ვიდეოს საფუძველზე პირის სამართალდამრღვევად ცნობა

2023 წელს გამოიკვეთა საკმაოდ სახიფათო ტენდენცია, კონკრეტულად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად აფასებს სხვადასხვა სოციალურ ქსელში გამოთქმულ მოსაზრებებს პოსტის თუ ვიდეოს სახით, რასაც საერთო სასამართლოებიც იზიარებენ.[82]

მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პირი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე გამოქვეყნებული პოსტის გამო სამართალდამრღვევად ცნო და 2500 ლარით დააჯარიმა.[83] სასამართლომ აღნიშნა, რომ „სოციალური ქსელი, მათ შორის „ფეისბუქი“, წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს და ნებისმიერ პირს აქვს ვალდებულება, დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები, ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივ წესრიგს, სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ეს არის საზოგადოების წევრთა ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ საზოგადოების სიმშვიდეს და გამოხატულებას პოვებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქალაქეთა ღირსეულ ქცევაში.“

სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო ასევე კურიერი, რომელმაც სოციალურ ქსელ Tik-Tok-ზე გამოაქვეყნა ვიდეო სათაურით *„ვისაც გინების მოსმენა არ გსურთ, არ უყუროთ და არ უსმინოთ“.* ვიდეოჩანაწერში იგი გამოხატავდა მწვავე პროტესტს თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართ. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით, პირის ქმედება შეფასდა წვრილმან ხულიგნობად (166-ე მუხლი) იმ დასაბუთებით, რომ სოციალური ქსელი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია, ხოლო გინება არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს.[84] ამ პირის სახელით საიამ საჩივარი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევის გამო.[85]

ინტერნეტში საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე გამოთქმული აზრის შეზღუდვა არის საშიში პრეცედენტი და გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევა, რასაც, შესაძლოა, მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს საზოგადოების სხვა წევრებზეც.

---

[81] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საია ინტერნეტმედიისთვის სასამართლო პროცესების გადაღების აკრძალვას საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-internet-mediistvis-sasamartlo-procesebis-gadaghebis-akrdzalvas-sakonstitucio-sasamartloshi-asachivrebs, განახლებულია: 10.01.2024.

[82] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის დადგენილება საქმეზე N4/ა-182-23.

[83] იქვე.

[84] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის დადგენილება საქმეზე N4/456-23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის დადგენილება საქმეზე N4/ა-487-23.

[85] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საიამ „ტიკ-ტოკზე“ გამოქვეყნებული ვიდეოს გამო პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-tik-tokze-gamoqveynebuli-videos-gamo-piris-administraciul-samartaldamrghvevad-cnoba-evropul-sasamartloshi-gaasachivra, განახლებულია: 10.01.2024.

2.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება

2021 წელს გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მასშტაბური, სავარაუდოდ უკანონო, ფარული მოსმენა-მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ.[86] ამ საქმეზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ნაცვლად, 2022 წელს კანონმდებლობა კიდევ უფრო გაუარესდა და თვალთვალსა და მიყურადებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს უფლებამოსილება გაფართოვდა.[87] ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, საკანონმდებლო ცვლილებები იყო ნაჩქარევი პროცედურით მიღებული, ხოლო შესაბამისი ზედამხედველობის მექანიზმები - არაადეკვატური.[88]

სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან თვალთვალისა და მონაცემთა შეგროვების პროცესის გაუმჯობესების საჭიროებაზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ამახვილებს ყურადღებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანა უარყოფითადაა შეფასებული ევროპის კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშშიც.[89] დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ კვლავ მიმდინარეობს გამოძიება 2021 წლის, სავარაუდოდ უკანონო, ფარული მოსმენა-მიყურადების საქმეზე, ხოლო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხის და ინსტიტუციური ზედამხედველობის მექანიზმების გაუმჯობესების შესახებ მოწოდებები პასუხგაუცემელი რჩება.[90]

მონაცემთა მოპოვებისა და ფარული მიყურადების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესების, ასევე, კანონიერების, პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპების მკაცრი დაცვისკენ მოუწოდებს სახელმწიფოს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც.[91] კომიტეტი განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს, არ არის საკმარისად დამოუკიდებელი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან, ხოლო მის საქმიანობაზე ზედამხედველობის მექანიზმები არაეფექტიანია.[92] კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების შემთხვევების, მათ შორის, 2021 წლის მოვლენების საფუძვლიანი გამოძიება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება.[93]

---

[86] იხ. საიას განცხადება, „პროკურატურის გამოძიება ე.წ. მოსმენების საქმეზე ეფექტიანად არ მიმდინარეობს, 18.05.2022, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/prokuraturis-gamodzieba-ets-mosmenebis-saqmeze-efeqtianad-ar-mimdinareobs#sthash.bVZj7nwF.huLeQKhV.dpbs, [1009.12.2023], განახლებულია: 10.01.2024.

[87] ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა კიდევ უფრო უარესდება, 21.04.2022, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/faruli-miyuradebis-maregulirebeli-kanonmdebloba-kidev-ufro-uaresdeba#sthash.cIcqfks4.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[88] Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, issued on 26 August 2022 pursuant to Article 14a of the Venice Commission's Rules of Procedure, CDL-PI(2022)028-e, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2022)028-e, განახლებულია: 10.12.2023.

[89] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Georgia 2023 Report, Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, 33, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf?fbclid=IwAR1e0G9uJaVl0oY7GbJYXu2hmB8faHZQTCIU8l6yL_zcC2oU0aKaxsGGC3w, განახლებულია: 10.01.2024.

[90] იქვე.

[91] Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5, 2022, para 40, ხელმისაწვდომია: https://digitallibrary.un.org/record/3987487, განახლებულია: 10.01.2024.

[92] იქვე, para 39.

[93] იქვე, para 40.

ადამიანის უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა სახელმწიფოს ასევე მოუწოდა, რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ცვლილებები შეიტანოს კანონმდებლობაში ფარული მიყურადების შესახებ, რათა გაიზარდოს პირადი ცხოვრების უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე ზედამხედველობა, ხოლო კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს.[94] სპეციალურმა მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2 ოქტომბერს გავრცელებულ განცხადებასა და ვიდეოჩანაწერებზე, რომლებიც ორგანიზაცია CANVAS-ის მიერ 2023 წლის სექტემბერში ჩატარებულ ტრენინგებს შეეხებოდა.[95] მომხსენებლის შეფასებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილ ვიდეომასალაში არაფერია ისეთი, რაც მათ მიერ გავრცელებულ ბრალდებებს გაამყარებს.[96] მან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მოუწოდა, შეწყვიტოს უფლებადამცველთა ისეთი ფარული მიყურადება, რომელიც არ შეესაბამება პირადი ცხოვრების უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს,[97] იმავდროულად, გამოიძიოს 2023 წლის სექტემბრის ტრენინგებში მონაწილე უფლებადამცველთა უკანონო მიყურადება.

მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მკაფიო მოწოდებისა, სათანადო საკანონმდებლო მექანიზმები არა თუ არ გაუმჯობესებულა, ამ თემაზე რაიმე ტიპის დისკუსიაც კი არ მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტში.[98] ამ კუთხით ბოლო სიახლეა ვენეციის კომისიის 2023 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია, რომლის თანახმად, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს უნდა მიენიჭოს ფუნქცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, მონიტორინგი გაუწიოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას (გარდა თავად სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა).[99]

2.4. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან სისტემური ხასიათი არ ჰქონია, ამ მიმართულებით სახელმწიფო კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას.

---

[94] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor Preliminary observations and recommendations Tbilisi - 7 November 2023, ხელმისაწვდომია: https://georgia.un.org/sites/default/files/2023-11/Statement_Eng.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[95] იხ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის 2 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://ssg.gov.ge/news/881/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-gancxadeba, განახლებულია: 10.01.2024.

[96] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor Preliminary observations and recommendations Tbilisi - 7 November 2023, ხელმისაწვდომია: https://georgia.un.org/sites/default/files/2023-11/Statement_Eng.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[97] იქვე.

[98] საია უერთდება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნას, 10.12.2023, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/saia-uertdeba-adamianis-uflebata-dacvis-saertashoriso-dghis-aghnishvnas#sthash.2w7H338w.877EZivK.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[99] Opinion on the law on the special investigation service and on the provisions of the law on personal data protection concerning the personal data protection service, european commission for democracy through law (venice commission). 16.12.2023, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)044-e, განახლებულია: 10.01.2024.

მთავარ გამოწვევად სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი რჩება. მის გასაუმჯობესებლად არც 2023 წელს გადადგმულა ნაბიჯები ისე, როგორც ამას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება მოითხოვს.[100] 2023 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის შეფასება[101] 2022 წელს ინსპექტორის სამსახურის დაჩქარებულ რეფორმასთან დაკავშირებით. ამ რეფორმის შედეგად, გაუქმდა არსებული უწყება და ის ორი სამართალმემკვიდრე უწყებით - სპეციალური საგამოძიებო სამსახურითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურით ჩანაცვლდა.[102] ვენეციის კომისიის შეფასებით, საკანონმდებლო ცვლილებები ჯეროვანი დისკუსიების გარეშე წარიმართა, შესაბამისად, მან სახელმწიფოს კანონშემოქმედებით პროცესში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, ინკლუზიურობისა და დემოკრატიული დებატებისკენ მოუწოდა. ახალი უწყების შექმნის მიუხედავად, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მანდატთან დაკავშირებული არცერთი პრობლემა ამ ცვლილებებით არ აღმოფხვრილა. მექანიზმის ეფექტიანობას კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ისეთი საკვანძო პრობლემები, როგორებიცაა: 1) მაღალი რანგის სახელმწიფო წარმომადგენლებზე იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილების არქონა; 2) საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები; 3) პროკურატურის მხრიდან სრული კონტროლის შენარჩუნება საგამოძიებო პროცესზე და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება.

მიმდინარე წელს საიას მონიტორები დაესწრნენ სისხლის სამართლის ოთხ სხდომას, რომლებზეც ბრალდებულმა ისაუბრა მის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე.[103] დაკავების პროცესში და დაკავების შემდეგ პოლიციელთა მხრიდან სავარაუდო ძალადობასა და არასათანადო მოპყრობაზე საუბრობდნენ 7-9 მარტის აქციებზე დაკავებული პირებიც. მათი თქმით, ეს გამოიხატებოდა დაკავების და გადაყვანის დროს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში, პოლიციელის მხრიდან შეფურთხებაში, ძალის გამოყენების მუქარაში.[104] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ საიასთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 7-9 მარტს აქციების მონაწილეთა მიმართ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე სამსახურში 124 შეტყობინება შევიდა, რომლებიც შეკრების მონაწილეებისა და ჟურნალისტების უფლებების დარღვევას ეხებოდა. წერილში ასევე მითითებულია, რომ 8 მარტს სამსახურმა დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან 2023 წლის

[100] Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06), 18/03/2011, ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-103371%22]}, განახლებულია: 10.01.2024.

[101] opinion on the law on the special investigation service and on the provisions of the law on personal data protection concerning the personal data protection service, european commission for democracy through law (venice commission), 16/12/2023, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)044-e, განახლებულია: 10.01.2024.

[102] ლონდა თოლორაია სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობის გაუქმებას საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 25.01.2022, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/londa-toloraia-sakhelmtsifo-inspeqtoris-tanamdebobis-gauqmebas-sakonstitucio-sasamartloshi-asachivrebs, განახლებულია: 10.01.2024.

[103] საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N17 ანგარიში, 2024.

[104] საიას ანგარიში „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ - 7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება“, 2023, გვ. 46, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/khalkhi-rusuli-kanonis-tsinaaghmdeg-7-9-martis-aqciis-dashlasa-da-mastan-dakavshirebuli-adamianis-uflebata-darghvevis-faqtebis-shefasebis-angarishis-prezentacia, განახლებულია: 10.01.2024.

7-8 მარტს აქციების მონაწილეთა მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[105] მიუხედავად ამისა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და საქართველოს პროკურატურას ამ საქმეებზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირთა შესახებ განცხადება არ გაუვრცელებიათ, რაც გვაფიქრებინებს, რომ გამოძიება ჭიანურდება და ეფექტიანად არ მიმდინარეობს. გამოძიებამ დაზარალებულის სტატუსი ამ დროისთვის მხოლოდ 1 პირს მიანიჭა, ხოლო სტატუსის გარეშე 31 პოტენციური დაზარალებულია იდენტიფიცირებული.[106]

საყურადღებო და კვლავ პრობლემურია აქციების დროს დაკავებულთათვის ე.წ. ხამუთის (ცალუღის) მჭიდროდ დადების პრაქტიკაც. ასეთი სახით დადებულმა ხელბორკილმა, შესაძლოა, გამოიწვიოს შეშუპება, დალურჯება, სიწითლე, ხელის დაბუჟება და სხვა ნერვული დაზიანება, რამაც, კონკრეტულ შემთხვევებში, შეიძლება მიაღწიოს არასათანადო მოპყრობის ხარისხს.[107]

ხაზგასასმელია, რომ პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის სერვისებთან დაკავშირებული პრობლემები, შესაძლოა, გახდეს როგორც არასათანადო მოპყრობის მაღალი რისკის მატარებელი, აგრეთვე დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა სიცოცხლის უფლების ხელყოფის სავარაუდო მიზეზიც. 2023 წელს ასევე პრობლემური იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პირობები.[108]

პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობა, რაც დასტურდება CPT-ისა და სახალხო დამცველის ანგარიშებით,[109] მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენს პატიმართა უფლებების რეალიზებაზე და, შესაძლოა, გაუტოლდეს დამამცირებელ ან/და არაადამიანურ მოპყრობას. სახელმწიფოს დღემდე არ აქვს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის სტრატეგია.

არსებობს ცნობები, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტები არ არიან დაცულნი ძალადობის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან. სავარაუდო არასათანადო მოპყრობასა და ძალადობასთან დაკავშირებული გარემოებები გამოიკვეთა მოხუცთა პანსიონატშიც.[110]

---

[105] იქვე, 46.

[106] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის პასუხი, SIS 0 23 00022750.

[107] იქვე, გვ. 46.

[108] იხ. მაგალითად, სტუდია „მონიტორი“, სიუჟეტი „სისტემისგან განწირულები“, 16.12.2023, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/monitorstudio/videos/1603765867093143/?extid=CL-UNK-UNK-UNK-IOS_GK0T-GK1C&ref=sharing&mibextid=SphRi8, განახლებულია: 10.01.2024.

[109] საქართველოს სახალხო დამცველი, „წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული საგანგებო მონიტორინგის ანგარიშის მიგნებები და რეკომენდაციები“, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/eng/190307074353siakhleebi/tsamebis-preventsiis-evropuli-komitetis-cpt-mier-sakartvelos-penitentsiur-datsesebulebebshi-gankhortsielebuli-sagangebo-monitoringis-angarishis-mignebebi-da-rekomendatsiebi, განახლებულია: 10.01.2024.

[110] „საია რუსთავში არსებულ მოხუცთა პანსიონატთან დაკავშირებით გასულ სიუჟეტს ეხმიანება“, 2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/kntCR, განახლებულია: 10.01.2024.

2023 წელს კვლავ შემაშფოთებელი იყო საოკუპაციო ძალების მიერ გატაცებული საქართველოს მოქალაქეების მიმართ ძალადობის, არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები.[111] საგანგაშოა 2023 წლის ნოემბერში საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების მიერ ადგილობრივი მცხოვრების, თამაზ გინტურის მკვლელობა ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნიშთან.[112]

[111] „ლევან დოთიაშვილი მოჰყვა, რა მოხდა კირბალის ეკლესიასთან", „რადიო თავისუფლების" ვებგვერდი, 10.11.2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/mNOTV, განახლებულია: 10.01.2024.

[112] „რადიო თავისუფლება", „თამაზ გინტურის მკვლელობის შემდეგ კირბალში შიში გაძლიერდა", 21.11.2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/xCJU9, განახლებულია: 10.01.2024.

3. მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა

3.1. ქალები

2023 წელს საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის თანახმად, ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველზე გავრცელებული დანაშაულია.[113] კვლავ მაღალია გენდერის ნიშნით ქალთა მკვლელობის მაჩვენებელი. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის 2022-2023 წლის ანგარიშის მონაცემებით გამოიკვეთა, რომ ოჯახში ძალადობის საქმეთა 20% გამამართლებელი განაჩენით დასრულდა, ხოლო ამ ტიპის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენის დროს სასამართლო იშვიათად იყენებს ე.წ. საპატიმრო სასჯელს - ვადიან თავისუფლების აღკვეთას. ამ წელს ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს მიდგომა უფრო ლოიალური იყო. ზოგიერთი მოსამართლე ჯეროვნად არ აფასებდა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე ოჯახში ძალადობაში ბრალდებულ პირთაგან მომდინარე საფრთხეებს. ამ ტიპის დანაშაულზე, წინა წელთან შედარებით, 9%-ით შემცირდა აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების შემთხვევები. გირაოს შეფარდების მაჩვენებელი კი 10%-ით გაიზარდა.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ცნობადობის ასამაღლებლად გადადგმული არაერთი ნაბიჯის მიუხედავად, შემაშფოთებელი იყო ქალი დეპუტატების მიმართ საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრის მხრიდან განხორციელებული სექსუალური შევიწროება.[114] ეს მიუთითებს, რომ პარლამენტარები, რომლებიც ძალადობისგან ქალების დაცვის საუკეთესო კანონმდებლობას და პრაქტიკას უნდა ქმნიდნენ, თავადვე ავიწროებენ კოლეგებს. აღსანიშნავია, რომ მათ ამ დრომდე ამისთვის არანაირი პასუხისმგებლობა არ დაჰკისრებიათ. მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ქალების დისკრიმინაცია და მათზე ძალადობა ასუსტებს სხვადასხვა საჯარო უწყების მიერ დაგეგმილ საინფორმაციო კამპანიებს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. პარლამენტარი კაცების დაუსჯელობა კი, თავის მხრივ, ახალისებს ქალთა მიმართ ძალადობას და აღვივებს დაუსჯელობის სინდრომს.

იძულებითი ან/და ნაადრევი ქორწინება - საქართველოში სუსტია ნაადრევი ქორწინების პრევენციის საკანონმდებლო მექანიზმი, ასევე, ხშირად არაეფექტიანია პრევენციული რეაგირება. ამის შემაშფოთებელი მაგალითია სასტიკად მოკლული 14 წლის აითაჯი.[115]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები და ქალები - სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი ძალადობის პირისპირ კვლავ განსაკუთრებით დაუცველნი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები. ხშირად მათ არ აქვთ ინფორმაცია ძალადობის პრევენციის ან რეაგირების მექანიზმების შესახებ. გარდა

---

[113] რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, 2023 წელი, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=773&parent_id=115, განახლებულია: 10.01.2024.

[114] „პარლამენტში ღუდუშაურმა და ბერაიამ ქალ დეპუტატებს შეურაცხყოფა მიაყენეს“, 31.10.2023, ტელეკომპანია „ფორმულას“ ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/100493, განახლებულია: 10.01.2024; „ოცნების“ დეპუტატმა ლევან მგალობლიშვილმა ანა წითლიძეს სხდომაზე მიკროფონი მოუქნია“, 17,11.2023, ტელეკომპანია „ფორმულას“ ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/101609, განახლებულია: 10.01.2024; „თინა ბოკუჩავა შალვა პაპუაშვილმა სპიკერატისთვის განკუთვნილი ადგილიდან ძალით გამოიყვანა“, 18.07.2021, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31364779.html, განახლებულია: 10.01.2024.

[115] „როგორ მოკლეს აითაჯი - 14 წლის გოგო დმანისიდან“, 09.10.2023, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fnrQ1, განახლებულია: 10.01.2024.

ამისა, შიშის, შეზღუდვის ტიპისა თუ სხვა ფაქტორების გამო, რთულდება ძალადობის შეტყობინება მსხვერპლის მიერ. 2023 წელს არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია შშმ პირების მიმართ ჩადენილი სავარაუდო სქესობრივი დანაშაულის შესახებ.[116] კვლავ მწვავე პრობლემაა ძალადობის თაობაზე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ქალების მიერ გადმოცემული ინფორმაციის მიმართ სტერეოტიპული მიდგომები, რის გამოც, მსხვერპლი რჩება დაუცველი, დამნაშავე კი - დაუსჯელი.

სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა - სექსუალური ძალადობა კვლავ რჩება გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, ყველაზე დაფარულ და დაუსჯელ ფორმად. არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობისთვის ეფექტიან, დაზარალებულზე ორიენტირებულ, გენდერულად მგრძნობიარე სამართლებრივ მექანიზმებს. ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მართლმსაჯულება მიუწვდომელი ან/და რთულად ხელმისაწვდომია.[117]

სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს არ აქვთ წვდომა კრიზისულ და/ან სექსუალური ძალადობის რეფერალურ ცენტრებზე, რომლებიც გეოგრაფიულად ადეკვატურად იქნება განაწილებული მთელი საქართველოს მასშტაბით.[118]

სექსუალური შევიწროება - მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, თეორიულად, შესაძლოა, ორივე სქესის წარმომადგენელი გახდეს, პრაქტიკაში, შრომით ურთიერთობებში ქალთა სექსუალური შევიწროების შემთხვევები უფრო ხშირია, რაც საზოგადოებაში არსებული გენდერული ნორმებითა და ქალებსა და კაცებს შორის ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილებით აიხსნება. დასაქმების ადგილზე ქალთა სექსუალურმა შევიწროებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი გავლენა მოახდინოს მსხვერპლი ქალების ფიზიკურ, მენტალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, საბოლოოდ კი, ისინი შრომითი ბაზრიდან გარიყოს.

მნიშვნელოვანია, პოლიციამ უზრუნველყოს დროული და ეფექტიანი რეაგირება **ადევნების და მუქარის შემთხვევებზე.** ამასთანავე, ქალები ხშირად ხდებიან ონლაინსივრცეში სექსუალური შევიწროების, პირადი ცხოვრების კადრებით შანტაჟისა და იძულების მსხვერპლები.[119] სახელმწიფო ვალდებულია, ამგვარი ქმედებების გამოსავლენად შეიმუშაოს ეფექტიანი საგამოძიებო პოლიტიკა და დაიცვას გოგონები და ქალები ასეთი ფორმით გამოვლენილი ძალადობისგან.

3.2. ლგბტ+ პირები

ლგბტ+ ადამიანები განსაკუთრებით დაუცველნი არიან სტიგმისა და ძალადობისგან. 2023 წლის 8 ივლისს „ლისი უანდერლენდის“ ტერიტორიაზე ანტიდასავლურმა, მოძალადე ჯგუფებმა „თბილისი პრაიდის“ ფესტივალი ჩაშალეს და ტერიტორია

[116] „ბავშვებზე სექსუალურად ძალადობდნენ და ვიდეოებს უღებდნენ“, 05.06.2023, „ბათუმელების“ ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/481865/, განახლებულია: 10.01.2024.

[117] საიას შეფასება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, 08.03.2023, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/qalta-uflebrivi-mdgomareobis-shesakheb#sthash.IQsaf6sN.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[118] First report on implementation of Istanbul Convention by Georgia welcomes steps on legislation, calls for more services for victims and dissuasive sanctions for perpetrators, 22.22.2022, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/lxzBT, განახლებულია: 10.01.2024.

[119] „პირადი ცხოვრების კადრების გავრცელება და შანტაჟი - ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა“, 09.10.2023, ტელეკომპანია „პირველის“ ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/djJ56, განახლებულია: 10.01.2024.

დაარბიეს.[120] პოლიციამ არ მიიღო პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ზომები საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, არ დაიცვა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება და სიძულვილის ჯგუფებს ძალადობრივი მოწოდებების დაუბრკოლებლად გავრცელების, ძალადობრივი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა მისცა.[121]

2023 წელს პრაიდის ფესტივალის ჩატარება დაიგეგმა 8 ივლისს, დახურული ღონისძიების სახით, Tbilisi Pride-ის მიერ. 7 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ღონისძიების მშვიდ ვითარებაში ჩატარების მიზნით, ყველა საჭირო ადგილას მობილიზებულნი იქნებოდნენ პოლიციის შესაბამისი ქვედანაყოფები, რომლებიც დაიცავდნენ წესრიგს და უსაფრთხოებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.[122] შსს ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ სიძულვილის ჯგუფები აპირებდნენ „თბილისი პრაიდის“ ღონისძიებაზე ძალადობრივ შეტევას (იხ. მაგალითად, ზურაბ მახარაძის გამოსვლა),[123] თუმცა, ამის მიუხედავად, პოლიციის წარმომადგენლებმა ვაჟა-ფშაველას ძეგლთან შეკრებილ კონტრდემონსტრანტებს ლისზე თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცეს. სიძულვილის ჯგუფებს არც ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვედრიათ რაიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლება სამართალდამცავების მხრიდან. ლისის ტბასთან მათ თავისუფლად შეძლეს პოლიციის კორდონის გარღვევა და მთავარი შესასვლელისკენ გადაადგილება. საიას ანალიზი აჩვენებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგია არ იყო ადეკვატური მოძალადე ჯგუფებისგან მომდინარე რისკებთან დასაპირისპირებლად. 2000-ზე მეტი კონტრდემონსტრანტი ფესტივალის ტერიტორიაზე შეიჭრა. ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ, ღონისძიება გაეუქმებინათ. მათ პოლიციასთან ერთად დროულად შეძლეს შენობის ევაკუაცია.[124]

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც 2021 წლის 5 ივლისს, სახელმწიფოს ვალდებულება, დაეცვა ადამიანები სიძულვილის ჯგუფებისგან, არ შესრულებულა. მომხდართან დაკავშირებით სხვისი ქონების ქურდობისა და სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტებზე დაწყებულია გამოძიება. შემთხვევიდან 5 თვის შემდეგაც არ არის მიღებული რაიმე შემაჯამებელი გადაწყვეტილება საგამოძიებო უწყების მხრიდან. არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ. მხოლოდ 5 თვის შემდეგ მიენიჭა საიას დაცვის ქვეშ მყოფ ორ პირს დაზარალებულის სტატუსი.[125] აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვები გამოძიების სანდოობის და ეფექტიანობის თაობაზე.

---

[120] „პრაიდის" ფესტივალის დარბევის შედეგად, სავარაუდო ზარალი, სულ ცოტა, 10 ათასი ლარია, 09.07.2023, „რადიო თავისუფლების" ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32495400.html, განახლებულია: 10.01.2024.

[121] „შსს სიძულვილის ჯგუფების მიმართ კვლავ შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებს", 08.07.2023, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bM189, განახლებულია: 10.01.24.

[122] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 07.07.2023, ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/saqartvelos-shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15867?fbclid=IwAR1P6cga_2Om__EGxS5Gj3VM9NvJuH4D3L59plz3C_uyhoV-eU4Pjif5qPY, განახლებულია: 10.01.2024.

[123] „შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ტოლერანტულ პოლიტიკას სიძულვილის ჯგუფების მიმართ", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 08.07.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/shss-sidzulvilis-jgufebis-mimart-kvlav-shemtsynarebel-politikas-atarebs, განახლებულია: 10.01.2024.

[124] იქვე.

[125] ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის 2023 წლის 5 დეკემბრის პასუხი N13/03-81131, 2023 წლის 11 დეკემბრის პასუხი N13/03-82775.

ლგბტ+ თემის უფლებრივ გამოწვევებს ვერ პასუხობს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რადგანაც მასში არ არის გათვალისწინებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხები.[126]

3.3. ხანდაზმულები

საქართველოში არ არსებობს უშუალოდ ხანდაზმული ადამიანების უფლებების შესახებ სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც მათი დაცვისა და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებს დაადგენდა. თუმცა, ამასთან დაკავშირებულ გარკვეულ დებულებებს შეიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ფრაგმენტულად არეგულირებს ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს.

გამოწვევად რჩება ხანდაზმულთა სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი. 2023 წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო სახელმწიფოს მიერ შერჩეული საბანკო დაწესებულების მხრიდან პენსიის სახით მისაღები სახელმწიფო გასაცემელის თვითნებური დაკავების/დაქვითვის პრაქტიკა. სასამართლომ ის არაერთხელ მიიჩნია უკანონოდ,[127] თუმცა, ამის მიუხედავად, პენსიონერებს კუთვნილი პენსიის მისაღებად კვლავ უწევთ სასამართლოში დავა. ხანდაზმულებს დღემდე მძიმე ფინანსურ ტვირთად აწევთ პანდემიის პერიოდში გადავადებული საკრედიტო ვალდებულებები, რადგან მათი მხრიდან საშეღავათო პერიოდით რამდენიმეთვიანმა სარგებლობამ მნიშვნელოვნად გაზარდა საპენსიო სესხებისთვის დადგენილი ისედაც უსამართლოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი, საკრედიტო ურთიერთობის ვადა და ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობა.

პრობლემური იყო საპენსიო საკითხებთან დაკავშირებით ხანდაზმულთა ინფორმირება, რაც გარკვეულ შემთხვევებში იწვევდა პენსიის შეჩერებას ან/და შეწყვეტას. გარდა ამისა, ადმინისტრირების პროცესში არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე წინასწარ არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია, რაც მათ უფლებრივ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა.

3.4. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, ასევე, რელიგიური გაერთიანებების თანასწორუფლებიანობის მიმართულებით წლების განმავლობაში არსებული ყველა სისტემური პრობლემა კვლავ გადაუჭრელია. არ ყოფილა მცდელობა კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმების აღმოსაფხვრელად, რომლებიც მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს ქონებრივ, საგადასახადო უფლებებსა და პრივილეგიებს. შენარჩუნდა ხელისუფლების მხრიდან

[126] სამოქმედო გეგმა ამ დრომდე გამოქვეყნებული არ არის მთავრობის ვებგვერდზე, იხ. https://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201, განახლებულია: 10.01.2024; იხ. ასევე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „2022 - 2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით“, 2023, 16, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-2023-tslis-30-noembers-adamianis-uflebata-strategiis-monitoringis-angarishis-prezentacia-gamarta#sthash.IvHGV8c1.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[127] „პენსიონერმა საიას დახმარებით შეძლო კუთვნილი პენსიის მიღება“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/pensionerma-saia-is-dakhmarebit-shedzlo-kutvnili-pensiis-srulad-migheba, განახლებულია: 10.01.24.

ახალი სამლოცველოების მშენებლობისთვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნის პრაქტიკაც.[128] ბათუმში მუსლიმები კვლავ ღია ცის ქვეშ ლოცულობენ, რადგან ბათუმის მერია, 2017 წლიდან მოყოლებული, უკანონოდ და დისკრიმინაციულად აცხადებს უარს ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. მუსლიმების ფუნდამენტური უფლებების დარღვევას კი განგრძობითი ხასიათი აქვს. პრობლემურია ასევე ახალ თავდაცვის კოდექსსა და მომიჯნავე აქტებში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან.[129]

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ხელი არ მიუწვდებათ ხარისხიან განათლებაზე, ჯანდაცვასა და სახელმწიფო სერვისებზე. ასეთ სოციალურ და ეკონომიკურ გარიყულობასთან გამკლავება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც დაბალი ჩართულობისა და სიღარიბის სხვადასხვა გამოწვევას უპასუხებს.[130]

3.5. ბავშვები

პრობლემად რჩება ბავშვთა მიმართ შრომითი ექსპლუატაციის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ძალადობის ფორმების დროულად გამოვლენა.[131] მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს ბავშვთა სოციალური მხარდაჭერის კუთხით. მიზნობრივი სახელმწიფო სერვისები არასაკმარისი და არაეფექტიანია.[132] 2023 წელს ბავშვთა სიღარიბე სახელმწიფოში კვლავ ყველაზე მტკივნეულ საკითხად რჩებოდა.[133] ბავშვთა შრომა, რომელიც ხშირად მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი სამუშაოს შესრულებას გულისხმობს, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.[134] სკოლებში უფასო კვების პროგრამის დანერგვის საკითხი 2023 წელსაც გადაუჭრელი დარჩა. ეს პროგრამა გადამწყვეტ როლს ითამაშებს ბავშვების სწავლისა და აკადემიური წარმატების უნარზე, ასევე მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობისა და განვითარებისთვის. შესაბამისად, მატერიალური დანაკლისის მქონე ბავშვებთან მიმართებით საკვების მიღების ბარიერები განსაკუთრებული სიმწვავით იკვეთება.[135]

---

[128] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში“, 2022, 18, ხელმისაწვდომია: https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi_forb_report_2022_geo.pdf, განახლებულია: 10.01.24.

[129] Alternative report on implementation of Framework Convention for the Protection of National Minorities by Georgia for the 4 th monitoring cycle. 2023, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/minorities/georgia, განახლებულია: 10.01.24.

[130] „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა“, 2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/jwCO4, განახლებულია: 10.01.2024.

[131] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით“, 2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-bavshvta-dacvis-saertashorisodghestan, განახლებულია: 10.01.2024; სახალხო დამცველის განცხადება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, 2023, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/geo/190307051401siakhleebi/bavshvta-datsvis-saertashorisodghe-2023, განახლებულია: 10.01.2024.

[132] იქვე.

[133] იქვე.

[134] იქვე.

[135] გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში, 2023, 28, ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/media/8226/file/%.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

პრობლემად რჩება ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა. სოფლად მცხოვრები ბავშვების გარკვეულ ნაწილს სკოლამდელ განათლებაზე ხელი არ მიუწვდება. ზოგიერთ სოფელში, სხვა ბარიერებთან ერთად, იკვეთება ამგვარი დაწესებულებების არარსებობა, ასევე, არასაკმარისი ადგილების გამო, ბავშვების მომლოდინეთა სიაში შეყვანა.[136]

3.6. შშმ პირები

წლების განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით გადადგმული არაერთი პოზიტიური ნაბიჯის მიუხედავად, მათი უფლებების სრულყოფილი რეალიზება კვლავ ვერ ხერხდება. საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად არის ფესვგადგმული სტერეოტიპები და არასწორი დამოკიდებულებები შშმ პირთა მიმართ, რაც აფერხებს მათ სოციალიზაციას და შესაბამისი უფლებებით სარგებლობას.[137] შშმ პირთა ინკლუზიას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორ ჩართვას დამატებით ბარიერებს უქმნის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება სამედიცინო მიდგომის საფუძველზე.[138] არსებული საკანონმდებლო გარანტიების მიუხედავად, ინკლუზიური განათლება ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დახვეწილი და მისაწვდომი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის.[139] ამის გამომწვევ მიზეზებად იკვეთება: არასაკმარისი სპეციალისტები და მათი არასათანადო კომპეტენცია, შშმ პირებზე მორგებული შესაბამისი პროგრამების ნაკლებობა და სხვა.

შშმ პირების ორგანიზაციის დირექტორის უფლებამოსილების ვადა

საერთო სასამართლოების პრაქტიკით, შშმ პირთა ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილის პოზიციაზე არ ვრცელდება შრომის კოდექსით გათვალისწინებული ის გარანტიები, რომლებიც დასაქმებულს თანამდებობიდან უსაფუძვლო გათავისუფლებისგან იცავს. ამდენად, ორგანიზაციების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის გადაყენების უფლება აქვს მმართველ ორგანოს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სარჩელით და მოითხოვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც სამეწარმეო იურიდიული პირების მსგავსი სტანდარტით არეგულირებს არა-

[136] იქვე, 20-21.

[137] გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პარტნიორობის მრავალპარტნიორული ნდობის ფონდი (UNPRPD MPTF), „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებითი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“, 2023, 33, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2023-07/undp-georgia-human-rights-pwds-participation-decision-making_2023-geo.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[138] შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2023 წლის მარტში. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების ბიოფსიქოსოციალურ სისტემაზე გადასასვლელად მნიშვნელოვანია გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დროულად შესრულება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 9 მარტის NMOH8200000094 ბრძანება, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/ka/publicinformation/list/116/?year=2023, განახლებულია: 10.01.2024.

[139] საიას განცხადება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-bavshvta-dacvis-saertashoriso-dghestan, განახლებულია: 10.12.2023.

კომერციული, იდეალური მიზნების მისაღწევად შექმნილი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების ხელმძღვანელების თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. ასეთ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი საჯარო-სამართლებრივი დატვირთვა აქვთ, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს კონვენცია პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოს, საჯარო პოლიტიკის ფორმირებამდე კონსულტაცია გაიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან. შესაბამისად, ასეთ ორგანიზაციებში ხელმძღვანელების გადაყენების პროცესი არ უნდა იყოს სამეწარმეო ორგანიზაციაში დირექტორის გათავისუფლების პროცესის მსგავსი.[140]

[140] საია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელის დაუსაბუთებლად გათავისუფლების შესაძლებლობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-arasametsarmeo-arakomerciuli-iuridiuli-piris-khelmdzghvanelis-dausabuteblad-gatavisuflebis-shesadzleblobis-sakitkhs-sakonstitucio-sasamartloshi-asachivrebs, განახლებულია: 10.01.2024.

4. ეკონომიკური, სოციალური და კულტურის უფლებები

სოციალური, ეკონომიკური და კულტურის უფლებების განხორციელების მიმართულებით ქვეყანა არაერთი გამოწვევის წინაშეა. ანგარიშის მიზნებისთვის გაანალიზებულია 2023 წელს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებასთან, შრომის უფლებასა და სიღარიბის დაძლევასთან დაკავშირებული გამოწვევები, რომლებიც აჩვენებს სახელმწიფოს ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების კუთხით არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

4.1. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს და დაიცვას პირთა უფლება, ცხოვრობდნენ ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში.[141] საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი პრობლემები გამოვლინდა ამ უფლებით სათანადოდ სარგებლობის კუთხით როგორც კანონმდებლობის, ისე მისი აღსრულების მიმართულებით.

2023 წლის 3 აგვისტოს შოვში, რაჭაში განვითარებულმა ღვარცოფულმა მოვლენამ, 2023 წლის სექტემბრის ოფიციალური მონაცემებით, 32 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.[142] 2023 წლის 8 სექტემბერს კი გურიაში ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეულმა მეწყერმა და წყალდიდობამ სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.[143] ეს გარემოებები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო მზად არ არის, გაუმკლავდეს ბუნებრივ კატასტროფებს და თავიდან აირიდოს მათგან მომდინარე საფრთხეები. ქვეყანაში ამ დრომდე არ არსებობს ადრეული გაფრთხილების სისტემები და სათანადოდ არ სრულდება კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.[144] კლიმატის ცვლილების პირობებში კი, როდესაც სულ უფრო ხშირი და ინტენსიურია ბუნებრივი კატასტროფები, საჭიროა, სახელმწიფომ დროულად შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულებები და დაიცვას ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება.[145]

კლიმატის ცვლილებისა და თანმდევი ბუნებრივი კატასტროფებისგან ადამიანის დაცვის საჭიროებები და შესაბამისი უფლებები არ არის ასახული საქართველოს მთავრობის 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში.[146] თუმცა, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საქართველო მუშაობს კლიმატის კანონის შემუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება კლიმატის

---

[141] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29.

[142] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ“, საადვოკაციო დოკუმენტი, 2023, 7, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/in-light-of-the-events-developed-in-racha-and-guria-in-2023-gyla-held-presentation-of-advocacy-document-concerning-the-legislation-and-practice-of-handling-the-risks-of-natural-disasters-in-georgia#sthash.zKTkyYhb.dpbs, განახლებულია: 10.01.2024.

[143] „გურიის მეწყრის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა“, Civil.ge (8 სექტემბერი, 2023), ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/558359, განახლებულია: 01.12.2023; „წყალდიდობა და მეწყერი გურიაში - ეძებენ 2 არასრულწლოვანსა და 1 ზრდასრულს“, netgazeti.ge (8 სექტემბერი, 2023), ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/686823/, განახლებულია: 10.01.2024.

[144] საია, „ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ“ (2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/wzIK4, განახლებულია: 10.01.2024.

[145] Office of the United Nations High Commissioner for Human Rights ('OHCHR'), 'Safe Climate: A Report of the Special Rapporteur on Human Rights and the Environment' (2019) UN Doc A/74/161.

[146] საია, „2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით“ (2023), 36-37, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/djnpu, განახლებულია: 10.01.2024.

ცვლილებასთან გასამკლავებლად და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების უზრუნველსაყოფად.[147] ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების კუთხით ასევე ძალიან ზოგადი ამოცანებია გაწერილი ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში.[148] ხოლო სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიით განსაზღვრული აქტივობები ამ მიზნების მისაღწევად შეუსაბამო და არასაკმარისია, ვერ პასუხობს რეალურ გამოწვევებს და მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს.[149]

4.2. შრომის უფლება

2023 წლის განმავლობაში კერძო და საჯარო სექტორში შრომის უფლებასთან დაკავშირებით შემდეგი გამოწვევები გამოიკვეთა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ხანგრძლივობა და ანაზღაურების გარეშე მისი შესრულება; ანაზღაურებადი შვებულების სრულად გამოუყენებლობა; ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების სრულად აუნაზღაურებლობა კერძო სექტორში; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დარღვევებით და სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება; შრომით ურთიერთობებში სხვადასხვა საფუძვლით დისკრიმინაცია; პროფესიული კავშირების ნაკლებობა და, არსებობის შემთხვევაში, მათი წარმომადგენლებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა; ღირსეული მინიმალური ხელფასის არარსებობა; შრომით ურთიერთობებში სოციალური გარანტიების ნაკლებობა; შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების დაცვის ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების საჭიროება.

2023 წელს შრომითი უფლებების მიმართულებით განსაკუთრებით გაუარესდა მდგომარეობა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში, სადაც თეა წულუკიანის მინისტრად დანიშვნის შემდეგ დაიწყო თანამშრომლების მასობრივი გათავისუფლება რეორგანიზაციის, მათ შორის, დისკრიმინაციული საფუძვლით. საიამ გააანალიზა სამინისტროს წინააღმდეგ თავის წარმოებაში არსებული საქმეების (11 საქმე) ძირითადი მიგნებები და გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც შემდეგი მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოიკვეთა:[150]

- თითოეულ შემთხვევაში, რეორგანიზაცია განხორციელდა არა საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, არამედ არასასურველი კადრების გათავისუფლების შესანიღბად. იმ დაწესებულებებში, საიდანაც საიას დაცვის ქვეშ მყოფი პირები გაათავისუფლეს, კადრების ოპტიმიზაციით შეფუთული რეორგანიზაციის შემდგომ არაერთი კონკურსი გამოცხადდა და უწყებებში ახალი კადრები დაინიშნნენ. არ არსებობს რეორგანიზაციის საფუძვლით გათავისუფლებების კანონიერად მიჩნევის წინაპირობები, არამედ ისინი დაეფუძნა პირად შეხედულებებს ან/და სხვადასხვა ნიშნით გამოხატულ დისკრიმინაციას.

[147] საქართველოს პარლამენტი, „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა საქართველოს კლიმატის ცვლილების კანონის თეთრი წიგნი საჯარო კონსულტაციებისთვის წარადგინა“ (09.11.2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hnzI9, განახლებულია: 10.01.2024.
[148] საია, „2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით“ (2023), მე-2 თავი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/djnpu, განახლებულია: 10.01.2024.
[149] იქვე.
[150] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „კულტურის სამინისტროს ახალი საკადრო პოლიტიკა და შრომითი დავების ანალიზი“, თბილისი, 2023, ხელმისაწვდომია: doc.pdf (gyla.ge), განახლებულია: 10.01.2024.

- რეორგანიზაციის ფარგლებში დაწესებულებებში შეიქმნა საკონკურსო კომისიები, რომლებსაც გასაუბრების საფუძველზე უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რომელ დასაქმებულთან გაგრძელდებოდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. კანონმდებლობის საპირისპიროდ, გასაუბრებაზე დასმული შეკითხვები მიმართული იყო კონკრეტული დასაქმებულის შეხედულებებსა და ქმედებებზე, რომლებიც არ უკავშირდებოდა სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებას ან ხარისხს. შემფასებელი კომისიის წევრების უმრავლესობას დარგობრივად არავითარი შეხება არ ჰქონდა კულტურასა და მეცნიერებასთან.
- გასაუბრებების დროს გამოვლინდა ფორმალური ხასიათის ხარვეზები. მათ შორის, კონკურსანტს არ მიეცა კომისიის კონკრეტული წევრის აცილების შესაძლებლობა და, მოთხოვნის მიუხედავად, ამასთან დაკავშირებით ვერც წერილობითი და ვერც ზეპირი პასუხი ვერ მიიღო. გასაუბრების დროს არ კეთდებოდა პროცესის ამსახველი ჩანაწერები და კომისია არც უშუალოდ თანამშრომელს აძლევდა უფლებას, თავად ჩაეწერა გასაუბრების მიმდინარეობა.

საყურადღებოა გოგა რაზმაძის საქმე, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში იკავებდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს უფროსის პოზიციას. მან სოციალურ ქსელ Facebook-ში გამოაქვეყნა საჯარო პოსტი, რომელშიც იგი საუბრობდა სამინისტროში მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტებზე, ასევე, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის მხრიდან დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ მოპყრობასა და ახსნა-განმარტების მიცემის იძულებაზე.[151]

საჯარო პოსტის გამოქვეყნებამდე, 2023 წლის 16 ივნისს, გოგა რაზმაძემ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმართა შსს მინისტრის მოადგილესა და დეპარტამენტის მენეჯმენტს. წერილში იგი აღწერდა მისი შევიწროების ფაქტებს და ითხოვდა შეხვედრას.

მას შემდეგ, რაც უწყებამ სრულიად უგულებელყო მისი განცხადებები და აშკარა გახდა, რომ პრობლემა ვერ მოგვარდებოდა, 2023 წლის 26 ივნისს გოგა რაზმაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და მოითხოვა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, ასევე, მისი აღმოფხვრის თაობაზე რეკომენდაციის მიღება. სახალხო დამცველმა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი არ დაადგინა.[152] სამინისტრომ სწორედ ამ გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღეში ის სამსახურიდან გაათავისუფლა, რაც შეიძლება მიჩნეული იყოს განსხვავებული მოსაზრებების გამო პირის დევნად.[153]

2023 წლის განმავლობაში, კერძო და საჯარო სექტორში რთული სამუშაო პირობების გამო, ხშირი იყო დასაქმებულთა გაფიცვა. 2023 წლის ივნისში ჭიათურის მაღაროში

---

[151] გოგა რაზმაძის ფეისბუქ-პოსტი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/goga.razmadze.77/posts/pfbid0gWQstcGUR875LbMZht9njxMu9MSAuiu3vf1ncwCyN4XRBR4rNcJTx2EWMe8JDVW9l, განახლებულია: 11.01.24.

[152] საია ეხმაურება სახალხო დამცველის გადაწყვეტილებას გოგა რაზმაძის საქმესთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-ekhmaureba-sakhalkho-damcvelis-gadatsyvetilebas-goga-razmadzis-saqmestan-dakavshirebit, განახლებულია: 10.01.24.

[153] გოგა რაზმაძემ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, საია, 26.12.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/goga-razmadzem-adamianis-uflebata-evropul-sasamartlosa-da-tbilisis-saqalaqo-sasamartlos-mimarta, განახლებულია: 10.01.24.

დასაქმებული მუშები გაიფიცნენ. ისინი მოითხოვდნენ: სამართლიან ანაზღაურებას, შრომის უსაფრთხოების ნორმების მოწესრიგებას, ჰიგიენისა და კვების საკითხების მოგვარებას.[154] მათი სამართლიანი და კანონიერი მოთხოვნების იგნორირების შედეგად, მშრომელებმა უკიდურეს ფორმებს მიმართეს და მრავლობითი თვითდაზიანება მიიყენეს.[155] 2023 წლის ნოემბერში ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სადადგმო ნაწილის 37 თანამშრომელი გაიფიცა, რომლებიც 500-ლარიანი შრომის ანაზღაურების გაზრდას ითხოვდნენ.[156] გაფიცვამდე არაეფექტიანი აღმოჩნდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული მედიაციის პროცესი. დეკემბრის ბოლოს, მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაცვლად, 53 დღის განმავლობაში გაფიცული 17 პირი სამსახურიდან გაათავისუფლეს.[157]

4.3. სიღარიბის დაძლევა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემების მიხედვით, 2022 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით იმყოფებოდა საქართველოს მოსახლეობის 15%, რაც, წინა წლებთან შედარებით, უმნიშვნელოდაა შემცირებული.[158] 2022 წელს დაქირავებით დასაქმებული მოსახლეობის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1543 ლარს,[159] ხოლო მედიანური ხელფასი - 1040 ლარს შეადგენდა,[160] რაც, მზარდი წლიური ინფლაციის დონის გათვალისწინებით (2022 წლის ინფლაციის დონე - 13%), მოსახლეობისთვის რთულ საცხოვრებელ პირობებს ქმნის.[161] ქვეყანაში არსებულ **მძიმე სოციალური ფონის დამადასტურებელია სოციალური დახმარებისა და საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა დიდი რაოდენობა.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში პენსიის მიმღებ პირთა რაოდენობა შეადგენდა 808 326-ს, ხოლო სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა - 178 426-ს, საარსებო შემწეობას კი მოსახლეობის 17% (149 864 ოჯახი) იღებდა.[162] **სახელმწიფოს მიერ გაცემული პენსიის, სოციალური დახმარებისა და საარსებო შემწეობის ოდენობა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას** და მოწყვლად

[154] ღირსეული შრომის პლატფორმა, „სახელმწიფოს უმოქმედობა მაღაროელთა გაწირვის ფორმას იღებს“, ხელმისაწვდომია: სახელმწიფოს უმოქმედობა მაღაროელთა გაწირვის ფორმას იღებს - ღირსეული შრომის პლატფორმა (shroma.ge), განახლებულია: 10.01.24.

[155] იქვე.

[156] ღირსეული შრომის პლატფორმა, „ღირსეული შრომის პლატფორმა მხარდაჭერას უცხადებს ოპერისა და ბალეტის თეატრის გაფიცულ თანამშრომლებს“, ხელმისაწვდომია: „ღირსეული შრომის პლატფორმა“ მხარდაჭერას უცხადებს ოპერისა და ბალეტის თეატრის გაფიცულ თანამშრომლებს - ღირსეული შრომის პლატფორმა (shroma.ge), განახლებულია: 10.01.24.

[157] „პუბლიკა“, „ოპერის ყველა გაფიცული თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს“, 29.12.23, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/operis-yvela-tanamshromeli-samsakhuridan-gaatavisufles/, განახლებულია: 16.01.24; „რადიო თავისუფლება“, „ოპერის გაფიცული თანამშრომლები სამსახურიდან გაათავისუფლეს“, 29.12.23, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32752587.html, განახლებულია: 10.01.24.

[158] სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

[159] დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი - 2022 (geostat.ge), განახლებულია: 10.01.24.

[160] დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი - 2022 (geostat.ge), განახლებულია: 10.01.24.

[161] ინფლაცია-საქართველოში,-2022-წლის-მაისი.pdf (geostat.ge). განახლებულია: 10.01.24.

[162] სოციალური უზრუნველყოფა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge), განახლებულია: 10.01.24.

ჯგუფებს რთულ სოციალურ მდგომარეობაში აყენებს.[163] ამასთანავე, **საქართველოში არ არის დადგენილი ღირსეული მინიმალური ხელფასი** და, საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1999 წელს მიღებული №351 ბრძანების მიხედვით, ის 20 (ოცი) ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ **საქართველოში გაიზარდა შრომითი მიგრაცია. მაგალითად, 2022 წელს ქვეყანა დატოვა საქართველოს 100 000-ზე მეტმა მოქალაქემ, რაც ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.**[164]

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა ხშირად კონკრეტული პირების მიერ **დანაშაულის ჩადენაზეც აისახება,** კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედების ხარისხი, მოტივი და მიზანი გამომდინარეობს სოციალური სიდუხჭირიდან. შეჭირვებული პირების მხრიდან ჩადენილი დანაშაულები უმეტესად ეკონომიკური დანაშაულებია, როგორებიცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა.[165]

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველო სოციალური სახელმწიფოა, რაც გულისხმობს ხელისუფლების ვალდებულებას, იზრუნოს სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.[166] საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს ზრუნვის ვალდებულებას ქვეყანაში სიღარიბის დასაძლევად, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში ქმედითი პოლიტიკის შემუშავებას გულისხმობს, მათ შორისაა: მოქალაქის დასაქმებაში ხელშეწყობა, სოციალური დაცვა, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფა.[167] აქედან გამომდინარე, **მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეიმუშაოს სიღარიბის დაძლევის ერთიანი და მდგრადი, მაქსიმალურად ინკლუზიური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ქვეყანაში არსებულ ყველა მოწყვლად ჯგუფს და მიმართული იქნება სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისკენ.** სახელმწიფოს მიერ შემუშავებული დასაქმებისა და სოციალური მხარდაჭერის პროგრამები საჭიროებს გადახედვას და არსებულ სოციალურ რისკებზე ადაპტირებას, რათა არ იყოს დამოკიდებული ხელისუფლების ერთჯერად ინიციატივებზე და ჩამოყალიბდეს ერთიანი ეროვნული სტანდარტი.

---

[163] 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 70 წლამდე პირთა პენსია 295 ლარის, 70 წელს ზემოთ პირთათვის კი 365 ლარის ოდენობით დადგინდა. მაღალმთიან დასახლებებში 70 წლამდე პირთათვის პენსია შეადგენს 355 ლარს, ხოლო 70 წელს ზემოთ პირებისთვის – 400 ლარს. ამჟამად საქართველოში ასაკობრივ პენსიას იღებენ ქალები 60 წლიდან და მამაკაცები 65 წლიდან. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფინანსური დახმარების ოდენობა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულებზე – რაც უფრო ღარიბია ოჯახი, მით ნაკლებია ქულები. დახმარების თანხა ოჯახის თითოეულ ზრდასრულ წევრზე 10-იდან 60 ლარამდე მერყეობს. 2022 წლის 1-ლი ივნისიდან სოციალურად დაუცველი ოჯახები ყოველ ბავშვზე ყოველთვიურად 150 ლარს იღებენ.

[164] გარე მიგრაცია - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge), განახლებულია: 10.01.24.

[165] საია, „საიას განცხადება სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით“, 17.10.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-sigharibis-dadzlevis-saertashoriso-dghestan-dakavshirebit#sthash.DFeCgsfa.dpbs, განახლებულია: 10.01.24.

[166] საქართველოს კონსტიტუცია, მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

[167] იქვე, მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი.

5. საარჩევნო კანონმდებლობა და გარემო

2023 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დაკომპლექტების წესი. ასევე, ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე და ამ ფორმით ჩატარდა ორი შუალედური და რიგგარეშე არჩევნები.

5.1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის ცვლილება

2023 წლის 13 ივნისს მმართველმა პარტიამ მესამე მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი, რომლითაც მორიგ ჯერზე შეცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი.[168] ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია 2021 წელს „შარლ მიშელის შეთანხმების“[169] სულისკვეთებით იყო მიღებული და მიზნად ისახავდა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებას საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსის გზით. ახლებური რეგულირებით, ცესკოს თავმჯდომარეს და 7 უპარტიო წევრს საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს, ხოლო არჩევისთვის საჭირო ხმების რაოდენობა, არსებული 2/3-ის ნაცვლად, უბრალო უმრავლესობამდე (76 ხმა) შემცირდა. გაუქმდა უბრალო უმრავლესობით არჩეული პირების 6 თვით დანიშვნის წესი, რითაც საპარლამენტო უმრავლესობას შესაძლებლობა მიეცა, ცესკოს თავმჯდომარე და წევრები ერთპარტიულად 5 წლის ვადით დანიშნოს.[170]

ცესკოს დაკომპლექტების 2021 წელს მიღებული წესის უგულებელყოფით და ამ პროცესიდან პრეზიდენტის ჩამოშორებით „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე. საიამ მმართველ პარტიას მოუწოდა, არ დაემტკიცებინა შემოთავაზებული კანონპროექტი, რომელიც აუქმებდა კონსენსუსის მისაღწევად პარტიებს შორის მოლაპარაკებების საჭიროებას და უმრავლესობას უფლებამოსილება აძლევდა, ერთპიროვნულად დაეკომპლექტებინა ცესკო.[171]

გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ 22 ივნისს საქართველოსთან დაკავშირებით ზეპირ ანგარიშში გააკრიტიკა ცესკოს დაკომპლექტების ახლებური მოდელი და მმართველ პარტიას ცვლილებების უკან გაწვევისკენ მოუწოდა.

26 ივნისს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ცვლილებებს ვეტო დაადო.[172] მისი პოზიციით, 100-ის ნაცვლად, 76 ხმით თავმჯდომარისა და წევრების არჩევა აუქმებდა კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებას და ზრდიდა

---

[168] „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო, რომლითაც ცესკოს ფორმირების წესი იცვლება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 13 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/547896, განახლებულია: 10.01.2024.

[169] „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ (არაოფიციალური თარგმანი), გვ. 4, ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/mediacia_samomavlo_gza_sakartvelostvis.pdf, განახლებულია: 10.01.2024.

[170] „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო, რომლითაც ცესკოს ფორმირების წესი იცვლება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 13 ივნისი.

[171] „ცესკოს დაკომპლექტების წესის ცვლილებებით „ქართული ოცნება“ აგრძელებს კანონმდებლობის პარტიულ ინტერესებზე მორგებას და ამცირებს ცესკოს დამოუკიდებლობას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2023 წლის 8 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Xk8QuH, განახლებულია: 27.12.2023.

[172] „პრეზიდენტმა ვეტო დაადო „საარჩევნო კოდექსში“ მიღებულ ცვლილებებს“, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 26 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Awh0wsAD, განახლებულია: 27.12.2023.

პოლარიზაციის რისკს.[173] პრეზიდენტის შეთავაზებით, ცესკოს თავმჯდომარე და წევრები, სახალხო დამცველის მსგავსად, 90 ხმით უნდა დაემტკიცებინათ.[174] 3 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის ვეტო დაძლია.[175]

ცესკოს დაკომპლექტების, გარკვეულწილად, შეცვლილი ინიციატივა პარლამენტმა უკვე 19 სექტემბერს მიიღო პირველი მოსმენით.[176] ცვლილებების ინიციირების საფუძვლად „ქართული ოცნების“ წევრების მხრიდან ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის რეკომენდაცია დასახელდა. შემდგომი საპარლამენტო განხილვები ვენეციის კომისიის დასკვნის მოლოდინში შეჩერდა.

ახალი კანონპროექტით, კანდიდატების შერჩევის და პარლამენტისთვის წარდგენის უფლებამოსილება კვლავ პარლამენტის თავმჯდომარეს დარჩა. კანდიდატთა სრული ვადით (5 წლით) არჩევა ისევ უბრალო უმრავლესობითაა შესაძლებელი, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ამისთვის პირველ კენჭისყრაზე, პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის (76 ხმა) ნაცვლად, 3/5-ის (90 ხმა) მხარდაჭერა იქნება საჭირო. თუ 90 ხმა ვერ მოგროვდება, კანდიდატებს შეეძლებათ, ორჯერ სცადონ 76 დეპუტატის მხარდაჭერის მოპოვება. ხელახალი კენჭისყრის ყოველი რაუნდი უნდა ჩატარდეს „არა უადრეს მომდევნო კვირის დასაწყისისა“. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები ვერც 76 ხმას მიიღებენ, საკითხი შემდგომი ინდივიდუალური გადაწყვეტილებისთვის საქართველოს პრეზიდენტს გადაეცემა.

19 დეკემბერს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიისა და ევროთა დემოკრატიული ინსტიტუტების, ასევე, ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ერთობლივი მოსაზრება საარჩევნო კოდექსსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში მიმდინარე ცვლილებებზე.[177] ისინი შეფასდა, როგორც <u>რთული და დამაბნეველი.</u> ასევე, აღინიშნა, რომ ცვლილებების პროექტი მმართველი პარტიის ინიციატივით, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გარეშე, დაჩქარებულად მომზადდა.[178] კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ანტიჩიხური მექანიზმის საფუძველზე დანიშვნების დროში მნიშვნელოვნად შეზღუდვას. დოკუმენტში ასევე უარყოფითად შეფასდა პრეზიდენტისთვის საკონკურსო კომისიის შექმნისა და კანდიდატების წარდგენის უფლებამოსილების ჩამორთმევა. აგრეთვე, გაკრიტიკებულია ცესკოს თავმჯდომარის ოპოზიციონერი მოადგილის პოზიციის გაუქმება. ცესკოს დაკომპლექტების წესის განმეორებითი ცვლილება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მოამზადა, პარლამენტმა ჯერ მხოლოდ პირველი მოსმენით მიიღო. ამრიგად, ამ საკითხზე მსჯელობა გრძელდება.

[173] იქვე.
[174] იქვე.
[175] „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/550516, განახლებულია: 27.12.2023.
[176] „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილება პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/saarchevno-kodeksshi-tsvlileba-parlamentma-pirveli-mosmenit-miigho?fbclid=IwAR1wnLdtZ6EOzqLgIDGH-xlqgjsvy403-ZpH6_4zGPGkT4-ls2o_3uZ5lI0, განახლებულია: 9.01.2024.
[177] Venice Commission, OSCE/ODIHR joint opinion on draft amendments to the election code and to the rules of procedure of the parliament of Georgia, CDL-AD(2023)047 (Strasbourg: Council of Europe, 2023), ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)047-e, განახლებულია: 27.12.2023.
[178] იქვე.

5.2. არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების დაფარვის არეალი

საქართველოს საარჩევნო კოდექსში არსებული ჩანაწერით, ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 70% უნდა მოიცვას.[179] 2023 წლის თებერვალში ცესკოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დაფარვის არეალი კიდევ უფრო გაიზარდა და დადგინდა, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამ საშუალებებით ამომრჩეველთა დაახლოებით 90% ისარგებლებს.[180] ცესკოს განკარგულების მიხედვით,[181] 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ელექტრონულად ჩატარდება ყველა თვითმმართველ ქალაქში, თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო უბანზე, ასევე, ამ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებულ იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 300-ს და, იმავდროულად, შესაბამის საუბნო საარჩევნო და საოლქო საარჩევნო კომისიების მისამართებს შორის მანძილი არ აღემატება 20 კილომეტრს.[182]

5.3. არაელექტრონული პირადობის მოწმობები

2023 წლის 18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტი,[183] რომლის თანახმად, ამომრჩევლებს ხმის მიცემა პირადობის არაელექტრონული მოწმობებითაც შეეძლებათ. საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილების პარალელურად, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა 2011 წლის 28 ივლისამდე გაცემული არაელექტრონული პირადობის მოწმობების გაუქმების ინიციატივას.[184]

კანონმდებლობა გამონაკლისს დაუშვებს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც „რელიგიური მოსაზრებებით" უარს ამბობენ ID ბარათების აღებაზე, აგრეთვე, მათზე, ვინც, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ იღებს მათ.[185]

---

[179] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 76[3]-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[180] „2024 წლის პარლამენტის არჩევნებში ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მისცემს", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, 2023 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11031836-2024-tslis-parlamentis-archevnebshi-amomrchevelta-titkmis-90-khmas-elektronuli-teknologiebis-gamoqenebit-mistsems, განახლებულია: 27.12.2023.

[181] ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება №05/2023.

[182] იქვე.

[183] საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს პარლამენტის წევრი ფრიდონ ინჯია, №07-3/369/10, მესამე მოსმენით, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/27300?fbclid=IwAR0eVx1BOG5ODcrS3eT-pYhrnr1F6xaMCtJZ8vKAICcw2FNoJZCjQBI-VaM, განახლებულია: 27.12.2023.

[184] „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოქმედ არაელექტრონულ მოწმობებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილება განიხილა", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 11 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bpqE1, განახლებულია: 27.12.2023.

[185] „უვადო ლამინირებული პირადობის მოწმობების გაუქმება იგეგმება", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 24 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32698565.html, განახლებულია: 27.12.2023; „ირაკლი კობახიძე - შევჯერდით, რომ ყველა ის პირადობის მოწმობა დაკარგავს იურიდიულ ძალას, რომელიც არის 2011 წლამდე გაცემული, ანუ იქამდე გაცემული, ვიდრე ამოქმედდებოდა

5.4. 2023 წლის შუალედური და რიგგარეშე არჩევნები

2023 წლის 29 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური, ასევე, მერების რიგგარეშე არჩევნები გაიმართა.[186] ამ არჩევნებისთვის ჯამში 165 საარჩევნო უბანი გაიხსნა. საია ქუთაისის პირველ მაჟორიტარულ ოლქში კენჭისყრას ლიმიტირებული სადამკვირვებლო მისიით დააკვირდა.

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა 2023 წლის 1-ელ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარი დეპუტატისა და გურჯაანის მერის არჩევნები.[187] გაიხსნა სულ 133 საარჩევნო უბანი. საია არჩევნებს ორივე საარჩევნო ოლქში, 21 უბანზე დააკვირდა. ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის პრიორიტეტი ორივე არჩევნებზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და პილოტირების პროცესის მონიტორინგი იყო.

როგორც 29 აპრილის, ასევე 1-ლი ოქტომბრის არჩევნებმა მშვიდ გარემოში ჩაიარა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები არაკონკურენტული იყო, საარჩევნო უბნებსა და მათ პერიმეტრებზე კვლავ შეინიშნებოდა ამომრჩეველთა სავარაუდო აღრიცხვა და შეკრება. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით ხარვეზები გამოიკვეთა ვერიფიკაციის აპარატთან დაკავშირებით, ასევე, ამომრჩევლის მიერ შესაბამის აპარატში ბიულეტენის სწორად მოთავსების კუთხით. თუმცა, ამ ხარვეზებს საარჩევნო პროცესი არ შეუფერხებია. მიუხედავად ამისა, ვინაიდან შუალედურ და რიგგარეშე არჩევნებზე უბნები სრული დატვირთვით არ მუშაობდა, შეუძლებელია იმის შეფასება, რამდენად ეფექტიანად შეძლებენ საარჩევნო კომისიები ამომრჩევლის მზარდ რაოდენობასთან გამკლავებას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

ჩიპიანი პირადობის მოწმობები“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2023 წლის 24 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/778927-irakli-kobaxize-shevjerdit-rom-qvela-is-piradobis-mocmoba-dakargavs-iuridiul-zalas-romelic-aris-2011-clamde-gacemuli-anu-ikamde-gacemuli-vidre-amokmedeboda-chipiani-piradobis-mocmobebi, განახლებულია: 9.01.2024.

[186] „29 აპრილს შუალედური/რიგგარეშე არჩევნები გაიმართება“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, 2023 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41Qrj3M, განახლებულია: 27.12.2023.

[187] „გორი-კასპის ოლქში პარლამენტის შუალედური, გურჯაანში კი მერის რიგგარეშე არჩევნები მიმდინარეობს, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2023 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/771731-gori-kaspis-olkshi-parlamentis-shualeduri-gurjaanshi-ki-meris-riggareshe-archevnebi-mimdinareobs/, განახლებულია: 27.12.2023.

6. საპარლამენტო კონტროლი და საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი

6.1. საპარლამენტო კონტროლი

საპარლამენტო კონტროლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ კუთხით საიას საქმიანობის მიზანია, ხელი შეუწყოს საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო როლის გაძლიერებას მონიტორინგის და ადვოკატირების გზით. ბოლო წლებში ორგანიზაციის ადვოკატირებამ პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისი ჩანაწერების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, შედეგი გამოიღო. თუმცა, გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც, დიდწილად, უსაფრთხოების სექტორის კონტროლს შეეხება, კვლავ დღის წესრიგშია. უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული საზედამხედველო მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესება ევროპული კომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესში გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაციაა.[188]

საპარლამენტო საქმიანობაზე საიას დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ, წინა წლების მსგავსად, დეპუტატები ზოგიერთ საზედამხედველო მექანიზმს იშვიათად ან საერთოდ არ იყენებენ. უფრო კონკრეტულად, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს სხდომაზე თანამდებობის პირი არ დაუბარებია. ამ კუთხით, განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ, სხვა თანამდებობის პირებისგან განსხვავებით, პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორის ან/და სუს-ის უფროსის სხდომაზე მოწვევა შესაძლებელია მხოლოდ კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ოპოზიციის მიერ მათ დაბარებას, ფაქტობრივად, გამორიცხავს. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს არ უსარგებლია დეპუტატის კითხვის მექანიზმით, ხოლო უსაფრთხოების თემატიკაზე კითხვებს, ძირითადად, ოპოზიციის წარმომადგენლები აგზავნიან. თავის მხრივ, ადრესატები პასუხს არ სცემენ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ ოპოზიციის მიერ დასმულ შეკითხვებს. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს საანგარიშო პერიოდში ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილებით არ უსარგებლია და არც თემატური მოკვლევის ჯგუფი შეუქმნია.

ნდობის ჯგუფი პარლამენტში ის ორგანოა, რომელიც, თავისი მანდატის ფარგლებში, უსაფრთხოების სექტორს კიდევ უფრო დეტალურად და სიღრმისეულად უნდა აკონტროლებდეს. ამის უფლებას მას საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა, ვიზიტების დაგეგმვის შესაძლებლობა, საკუთარ სხდომაზე ანგარიშვალდებული პირის დაბარება და სხვა მნიშვნელოვანი მექანიზმები აძლევს. მიუხედავად ამისა, ნდობის ჯგუფი, წლებია, სრულად არ არის დაკომპლექტებული და, ძირითადად, მხოლოდ მმართველი პარტიის წევრების შემადგენლობით ფუნქციონირებს. ოპოზიციის წარმომადგენელთა კვოტა სრულად არ არის ათვისებული, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის პროცესში მათ ჩართულობას. აქვე საგულისხმოა, რომ ნდობის ჯგუფს აპარატში მხოლოდ ერთი პირი ჰყავს დასაქმებული, შესაბამისად, მას ორგანიზაციულ მუშაობაში დახმარებას კომიტეტის აპარატის თანამშრომლები უწევენ. ეს, ცხადია, ვერ უზრუნველყოფს ისედაც ფართო მანდატის

[188] Georgia 2023 Report, Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, European Commission, 11 November 2023, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf, განახლებულია: 9.01.2024.

მქონე სექტორის სათანადო კონტროლს, მითუმეტეს, როდესაც საუბარია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ფარული მეთვალყურეობის სისტემის, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების და სხვა ისეთი საკითხების კონტროლზე, რომლებიც სპეციალურ ცოდნას და ექსპერტიზას საჭიროებს.

6.2. საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი

2023 წელს საია აგრძელებდა საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგს, აკვირდებოდა საპარლამენტო პროცედურების მიმდინარეობასა და გადაწყვეტილებების მიღების წესებს. დაკვირვების შედეგად, გამოიკვეთა საკანონმდებლო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და კანონმდებლობის ერთი პარტიის პოლიტიკურ ინტერესებზე მორგების მცდელობები.

საყურადღებო იყო საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების ინიციატივა, რომელიც, სხვა ცვლილებებთან ერთად, საკანონმდებლო პაკეტის ერთი კენჭისყრით მიღებას ითვალისწინებდა.[189] ამის თაობაზე საიამ მოსაზრებები წარუდგინა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.[190] ამ ცვლილებებით შესაძლებელი ხდებოდა ერთ პაკეტში შემავალი რამდენიმე კანონპროექტის ერთი კენჭისყრით მიღება, რაც დეპუტატებს ართმევდა შესაძლებლობას, თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. გარდა ამისა, იქმნებოდა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ამ პროცედურის ბოროტად გამოყენების საფრთხეც. განხილვების შედეგად, პარლამენტმა მხოლოდ პირველი და მეორე მოსმენების დროს დაუშვა ამგვარი კენჭისყრის წესი, ხოლო კანონპროექტის საბოლოო რედაქციის კენჭისყრისას ისევ ცალ-ცალკე ხმის მიცემის წესი შენარჩუნდა. წლის ბოლოს პარლამენტმა რეგლამენტში მორიგი ცვლილებები განიხილა, რომლებიც ეხებოდა ანგარიშების წარდგენას, პლენარულის ნაცვლად, კომიტეტების სხდომებზე, დაჩქარებული წესით განხილვის პროცედურას, საკანონმდებლო პაკეტზე კენჭისყრის წესის ცვლილებას. საიამ ამ საკითხებზეც წარადგინა საკუთარი პოზიცია კომიტეტის სხდომაზე.[191] პარლამენტმა გაითვალისწინა საიას მოსაზრება პაკეტში შემავალი კანონპროექტების მისაღებად კვორუმის ცვლილების შესახებ და ის აღარ გაუთანაბრდება ორგანული კანონის პროექტებისთვის დადგენილ კვორუმს.[192]

---

[189] „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის წევრების: ირაკლი ქადაგიშვილის, ირაკლი შატაკიშვილის, გიორგი კახიანის, გენრიეტა ნიწავას საკანონმდებლო ინიციატივა (N07-3/320/10, 10.05.2023), ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/26374, განახლებულია: 09.01.2024.

[190] „საიამ პარლამენტს მოსაზრება წარუდგინა რეგლამენტის ცვლილებაზე, რომელიც საკანონმდებლო პაკეტში შემავალ კანონპროექტებზე ერთიან კენჭისყრას ითვალისწინებს“, 2023 წლის 9 ივნისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: http://tinyurl.com/bdva8h63, განახლებულია: 13.12.2023.

[191] „მოსაზრებები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2023 წლის 19 ოქტომბერი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: http://tinyurl.com/mrjy5674, განახლებულია: 13.12.2023.

[192] „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის წევრების: ირაკლი ქადაგიშვილის, ირაკლი შატაკიშვილის, გიორგი კახიანის, გენრიეტა ნიწავას საკანონმდებლო ინიციატივა (N07-3/320/10, 10.05.2023), მეორე მოსმენა, ფაილი „გათვალისწინებული შენიშვნების ვიზუალურად ხილვადი ვერსია, პუნქტი 50, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/26374, განახლებულია: 09.01.2024.

საკანონმდებლო ორგანომ მხარი დაუჭირა რეგლამენტის კიდევ ერთ ცვლილებას, რომელიც პარლამენტში პოლიტიკური ჯგუფების შექმნის წესს შეეხებოდა.[193] ამ ცვლილებით, საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალ უფრაქციო დეპუტატებს ასეთი ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა მიეცათ. იმის გამო, რომ რამდენიმე თვით ადრე ამგვარი შესაძლებლობა ოპოზიციას არ მიეცა და გამონაკლისი მხოლოდ უმრავლესობის დეპუტატებთან დაკავშირებით დაუშვეს, საიამ ეს ცვლილება გააკრიტიკა. ორგანიზაციის პოზიციით, უმრავლესობა კიდევ ერთხელ ირგებდა კანონმდებლობას საკუთარ ინტერესებზე.[194]

2023 წლის აგვისტოს ბოლოს მმართველმა პარტიამ პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყო.[195] „ქართული ოცნება" მიიჩნევდა, რომ პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუცია დაარღვია, როდესაც მთავრობის თანხმობის გარეშე საზღვარგარეთ გაემგზავრა და სხვა ქვეყნების ლიდერებთან ოფიციალური შეხვედრები გამართა. საპარლამენტო უმრავლესობის წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლომ იმავე წლის ოქტომბერში განიხილა.[196] რამდენიმედღიანი განხილვების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ (3-მა მოსამართლემ დააფიქსირა განსხვავებული აზრი) გამოსცა დასკვნა, რომლითაც პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა.[197] თუმცა, იმპიჩმენტის გამოსაცხადებლად საპარლამენტო კენჭისყრაზე ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ მოგროვდა.[198] იმპიჩმენტის პროცესი გამოირჩეოდა პრეზიდენტის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორების ელემენტებით. იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტის ვიზიტები პირდაპირ უკავშირდებოდა და ემსახურებოდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, მის მიმართ იმპიჩმენტის დაწყება განსაკუთრებით დამაზიანებელი იქნებოდა ქვეყნის ევროპული მომავლისთვის.

[193] „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ", სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ეკა სეფაშვილის, ვიქტორ ჯაფარიძის, ირაკლი (დაჩი) ბერაიას, ზაალ მიქელაძის, დავით კაჭარავას საკანონმდებლო ინიციატივა, N07-3/290/10, 08.02.2023, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/25756, განახლებულია: 09.01.2024.

[194] „პოლიტიკური ჯგუფების შექმნის ახალი წესის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ადასტურებს „ქართული ოცნების" პრაქტიკას, საკუთარ ინტერესებზე მოირგოს კანონმდებლობა", 2023 წლის 1-ლი მარტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: http://tinyurl.com/5n8tk96y, განახლებულია: 13.12.2023.

[195] „ქართული ოცნება" სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს", „რადო თავისუფლება, 2023 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32573987.html, განახლებულია: 26.12.2023.

[196] „განახლება: საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს განიხილავს", civil.ge, 2023 წლის 5 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/561936, განახლებულია: 26.12.2023.

[197] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი", საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2023 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: http://tinyurl.com/bdzh5jd4, განახლებულია: 26.12.2023.

[198] „პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტი ჩავარდა", netgazeti.ge, 2023 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/692900/, განახლებულია: 26.12.2023.

7. ადგილობრივი თვითმმართველობა

2021 წლის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში არაერთი ცვლილება შევიდა, რომლებმაც დაასუსტა საკრებულოს როლი მუნიციპალიტეტებში. 2023 წელს მასში განხორციელებული კიდევ ერთი დამაზიანებელი ცვლილებით, მერს აღარ შეუწყდება უფლებამოსილება, თუ საკრებულო კანონით დადგენილ ვადაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ვერ დაამტკიცებს. ეს ცვლილება მერის პასუხისმგებლობას სრულად გამორიცხავს და მას მხოლოდ საკრებულოზე ავრცელებს. საკრებულო დამოკიდებული ხდება მერის ინიციატივაზე და, ბიუჯეტის პროექტის მნიშვნელოვანი ხარვეზების მიუხედავად, უფლებამოსილების შეწყვეტისგან გადასარჩენად, იძულებულია, დაეთანხმოს წარმოდგენილ პროექტს. ამრიგად, პასუხისმგებლობის დამაბალანსებელი მექანიზმის გაქრობით, საკრებულოს არსებობა მერის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რაც გაუმართლებელია. საიამ უარყოფითად შეაფასა ცვლილება და პარლამენტს საკუთარი მოსაზრებები წარუდგინა.[199]

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება საკრებულოების მიერ საზედამხედველო ფუნქციის არასაკმარისი გამოყენება. საკრებულოს წევრები, კომისიები და ფრაქციები, ფაქტობრივად, არ იყენებენ კოდექსით და რეგლამენტით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, რაც მერისა და სხვა პირების ანგარიშვალდებულების შესუსტებაზე აისახება.

პრობლემები გამოიკვეთა არა მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით, არამედ ნორმატიულ დონეზეც. საკრებულოს რეგლამენტებში მექანიზმების შესახებ პროცედურა არასათანადოდაა გაწერილი, რაც ართულებდა მათ გამოყენებას და პრაქტიკაში დანერგვას. ამასთანავე, საკრებულოს ოპოზიცია მოკლებული იყო შესაძლებლობას, გამოეყენებინა საზედამხედველო ფუნქციები, რაც გამოწვეული იყო როგორც ტექნიკური ბარიერებით, ისე ნორმატიულად გაწერილი მაღალი კვორუმებით. მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობა. როგორც წესი, მუნიციპალიტეტების საკრებულოები არ ამუშავებდნენ ინფორმაციას და არ ხდება ამ მონაცემების სისტემატიზება.

[199] „საია უარყოფითად აფასებს მუნიციპალური ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის მხოლოდ საკრებულოზე გადატანის ინიციატივას“, საიას ვებგვერდი, 14 ნოემბერი, 2022 წ. ხელმისაწვდომია: http://tinyurl.com/5feuzbcb, განახლებულია: 12.12.2023.

8. საჯარო მმართველობა

საია, წლებია, აკვირდება საჯარო მმართველობის (PAR), ღია მმართველობის და ანტიკორუფციული რეფორმის მიმდინარეობას და ჩართულია სხვადასხვა მიმართულებით როგორც მონიტორინგის, ისე ადვოკატირების ნაწილში. გასული წლების უკუსვლის დინამიკა ღია მმართველობის და ანტიკორუფციული კუთხით კვლავ უცვლელია.

საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 16 თებერვალს დაამტკიცა საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა. ეს სტრატეგია წინა გზამკვლევის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ დამტკიცდა. ამასთანავე, სრულად არ მოიცავს პრობლემების ანალიზის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს, უფრო მეტად, ორიენტირებულია ტრენინგებსა და ცნობიერების ზრდაზე, ვიდრე რეალურ რეფორმებზე. სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს გამჭვირვალობის მიმართულებით გამოვლენილ პრობლემებს, მაგალითად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე, ამ საკითხზე ზედამხედველობის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანოს არარსებობას. საჭიროა, განახლდეს და შემუშავდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომელსაც არასამთავრობო სექტორი, წლებია, ადვოკატირებს.[200]

რაც შეეხება ღია მმართველობის რეფორმას, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამოქმედო გეგმა 2019 წლის შემდეგ არ დამტკიცებულა. დაწყებულია OGP-ის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, თუმცა სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული ვალდებულებების დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი გაზიარებული არ არის.

2022 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, რომელიც 2023 წლის იანვარში გამოქვეყნდა, საქართველოს შედეგი 2019 წლის შემდეგ არ გაუმჯობესებულა. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2020 წლის შემდეგ არ დამტკიცებულა და ამ კუთხით ქვეყანაში ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავება შეჩერებულია.

2022 წლის ნოემბერში „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლითაც, სხვა სიახლეებთან ერთად, ანტიკორუფციული ბიურო შეიქმნა.[201] მიუხედავად იმისა, რომ ამით არაერთი უფლებამოსილება ერთი ორგანოს ქვეშ გაერთიანდა (დეკლარაციების მონიტორინგი, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი, მამხილებელთა დაცვა და ა.შ.), მას არ აქვს საგამოძიებო ფუნქციები. ამასთანავე, ბიუროს ხელმძღვანელს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. შესაბამისად, ხელმძღვანელის დაბა-

[200] Feedback to the Government of Georgia's Formal Response to the Letter of Concern, Open Government Partnership, 25 September 2023, ხელმისაწვდომია: https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2023/09/Georgia_Feedback-to-Gov-Response-with-Annexes_20230925.pdf?fbclid=IwAR0cq2ylYUsQ7qOlDuJJkUzpxME8tlZDT1oFnBxbVLrRMiH4yJ3JYznQkh4, განახლებულია: 9.01.2024.

[201] „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტი, 2204-IXმს-Xმპ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2022 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5625537?publication=0#DOCUMENT:1, განახლებულია: 9.01.2024.

ლი ლეგიტიმაცია და საგამოძიებო ფუნქციის არარსებობა დამოუკიდებლობის გარანტიას ვერ ქმნის. გარდა ამისა, საქართველო არ მონაწილეობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) მონიტორინგში.[202]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და დამკვიდრებას.

[202] „საქართველომ OECD/ACN-ის ანტიკორუფციული გარემოს შეფასებაზე უარი თქვა - NGO“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 27 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32477822.html, განახლებულია: 9.01.2024.

დანართი №1 – საიას 2023 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციები

1. საიას საქმიანობის წლიური ანგარიში, 2023 წელი. ხელმისაწვდომია ბმულზე
2. 2021 წლის ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ - საერთაშორისო სამართლის და საუკეთესო პრაქტიკის ჭრილში. ხელმისაწვდომია ბმულზე
3. მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, ხელმისაწვდომია ბმულზე
4. საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასება. ხელმისაწვდომია ბმულზე
5. ფენილკეტონურიაზე ახალშობილთა სკრინინგის სახელმწიფო პროგრამაში არსებული ხარვეზები. ხელმისაწვდომია ბმულზე
6. გარემოს დაცვის სისხლისსამართლებრივი რეგულირება. ხელმისაწვდომია ბმულზე
7. უზენაესი სასამართლოს პლენუმის მონიტორინგის ანგარიში. ხელმისაწვდომია ბმულზე
8. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №11. ხელმისაწვდომია ბმულზე
9. მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით, კვარტალური მიმოხილვა (ოქტომბერი - დეკემბერი, 2022). ხელმისაწვდომია ბმულზე
10. მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით, კვარტალური მიმოხილვა (იანვარი - მარტი, 2023). ხელმისაწვდომია ბმულზე
11. მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით, კვარტალური მიმოხილვა (აპრილი - ივნისი, 2023). ხელმისაწვდომია ბმულზე
12. საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში (პირველი ნაწილი). ხელმისაწვდომია ბმულზე
13. პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის (ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლისა და ზიანის ანაზღაურების საკითხები). ხელმისაწვდომია ბმულზე
14. პოლიტიკური თანასწორობის ინდექსი საქართველოში. ხელმისაწვდომია ბმულზე
15. კულტურის სამინისტროს ახალი საკადრო პოლიტიკა და შრომითი დავების ანალიზი. ხელმისაწვდომია ბმულზე
16. საკრებულოს ზედამხედველობა აღმასრულებელ ორგანოზე და მოქალაქეთა ჩართულობა. ხელმისაწვდომია ბმულზე

17. ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა საქართველოში პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგი საპარლამენტო კონტროლის, არჩევნებისა და მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

18. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მოსაზრებები ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

19. როგორ ვისარგებლოთ გაფიცვის უფლებით (პრაქტიკული სახელმძღვანელო დასაქმებულებისთვის). ხელმისაწვდომია ბმულზე

20. როგორ გამოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია, პრაქტიკული გზამკვლევი მედიის წარმომადგენლებისთვის. ხელმისაწვდომია ბმულზე

21. გზამკვლევი აქციის მონაწილეებისა და ორგანიზატორებისთვის. ხელმისაწვდომია ბმულზე

22. ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, 7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება. ხელმისაწვდომია ბმულზე

23. ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ, საადვოკაციო დოკუმენტი. ხელმისაწვდომია ბმულზე

24. პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციებისთვის ცილისწამების საქმეებთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

25. 2022 -2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

26. საქართველოს 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის მონიტორინგის ინსტრუმენტი. ხელმისაწვდომია ბმულზე

დანართი №2. საიას 2023 წლის საჯარო განცხადებები

1. საიამ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW) ანგარიშები წარადგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე
2. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 5 ივლისის საქმეზე ორგანიზებული ჯგუფური დანაშაულის ჩამდენი პირები დაუსჯელი დატოვა. ხელმისაწვდომია ბმულზე
3. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს მორიგი გადაწყვეტილება ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტების წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია ბმულზე
4. ევროპულ სასამართლოში 5 ივლისის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. ხელმისაწვდომია ბმულზე
5. კოალიცია პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების შერჩევის პროცესს აფასებს. ხელმისაწვდომია ბმულზე
6. საია ეხმიანება 2023 წლის 12 თებერვალს სანდრო სულაბერიძის მიერ გამოხატულ პროტესტთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას. ხელმისაწვდომია ბმულზე
7. საიამ პარლამენტს უზენაესი სასამართლოს პლენუმთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადება წარუდგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე
8. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პატიმრის წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დარღვევა დაადგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე
9. საიას სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ნორმა, რომელიც 65 წლის ასაკს მიღწეულ პირს უკრძალავდა სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებას. ხელმისაწვდომია ბმულზე
10. პოლიტიკური ჯგუფების შექმნის ახალი წესის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ადასტურებს „ქართული ოცნების“ პრაქტიკას, საკუთარ ინტერესებზე მოირგოს კანონმდებლობა. ხელმისაწვდომია ბმულზე
11. საიამ ფემიციდის კიდევ ერთი საქმე წარმატებით დაასრულა. ხელმისაწვდომია ბმულზე
12. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმიანება 2023 წლის 2 მარტის საღამოს საქართველოს პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების ადმინისტრაციული წესით დაკავების ფაქტებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

13. მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეწყვიტოს აქტივისტებისა და ჟურნალისტების დაკავების გაუმართლებელი პრაქტიკა. ხელმისაწვდომია ბმულზე

14. დედების შრომითი უფლებები უნდა გაუმჯობესდეს. ხელმისაწვდომია ბმულზე

15. მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა. ხელმისაწვდომია ბმულზე

16. თავდაცვის კოდექსში დაგეგმილი ზოგი ცვლილება დისკრიმინაციულია. ხელმისაწვდომია ბმულზე

17. საიამ სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული პირების საქმეზე წერილობითი პოზიცია წარადგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

18. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 2023 წლის 2-3 და 7-9 მარტს დაკავებული პირების საქმეების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე

19. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებაში იკვეთება, რომ 2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა გაუარესდა. ხელმისაწვდომია ბმულზე

20. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვენეციის კომისიის დასკვნას აფასებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

21. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმიანება ლაზარე გრიგორიადისის საქმეს. ხელმისაწვდომია ბმულზე

22. კოალიცია ეხმიანება მოსამართლეებისთვის სანქციების დაკისრებას. ხელმისაწვდომია ბმულზე

23. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ახალი რეზოლუცია სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოში ცხოვრების უფლების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე

24. „ქართული ოცნება“ აგრძელებს სასამართლო კლანის ინტერესების დაცვას. ხელმისაწვდომია ბმულზე

25. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარდგენილი საქართველოს მეოთხე სახელმწიფოთაშორისი საჩივარი დასაშვებად ცნო. ხელმისაწვდომია ბმულზე

26. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სოლიდარობას უცხადებს აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლების მშვიდობიან პროტესტს საჭირო მედიკამენტის დაფინანსების მოთხოვნით. ხელმისაწვდომია ბმულზე

27. საკონსტიტუციო სასამართლო 10 წლის ვადით არჩეული მოსამართლეების უფლებამოსილების ვადის გაგრძელების კონსტიტუციურობას განიხილავს. ხელმისაწვდომია ბმულზე

28. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭო კულტურის სამინისტროს უფლებამოსილებაში ჩარევის გამო უჩივის. ხელმისაწვდომია ბმულზე

29. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განცხადება ნიკა გვარამიას საქმესთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

30. საიამ ცინცაბაძის χგუფის საქმეებზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ წერილობითი მოსაზრებები წარუდგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

31. ცესკოს დაკომპლექტების წესის ცვლილებებით „ქართული ოცნება“ აგრძელებს კანონმდებლობის პარტიულ ინტერესებზე მორგებას და ამცირებს ცესკოს დამოუკიდებლობას. ხელმისაწვდომია ბმულზე

32. საია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელის დაუსაბუთებლად გათავისუფლების შესაძლებლობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

33. საიამ პარლამენტს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე მოსაზრებები წარუდგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

34. კოალიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევას ეხმაურება. ხელმისაწვდომია ბმულზე

35. ეკა კვესიტაძის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა და მანკიერ პრაქტიკას ადგენს. ხელმისაწვდომია ბმულზე

36. სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან“ გათავისუფლებული პირის საქმე სასამართლოში წარმატებით დასრულდა. ხელმისაწვდომია ბმულზე

37. საიას განცხადება მცოცავი ოკუპაციის შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე

38. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება ყვარელში მიმდინარე მოვლენებზე. ხელმისაწვდომია ბმულზე

39. ადვოკატებს დაკავებულ აქტივისტებთან არ უშვებენ. ხელმისაწვდომია ბმულზე

40. საიამ პოლიციელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის, ზვიად მთავრიშვილის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოში წერილობითი პოზიცია წარადგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

41. საიამ პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაუმχობესების თაობაზე. ხელმისაწვდომია ბმულზე

42. საქართველოს შეფასება FREEDOM HOUSE-ის ანგარიშის მიხედვით - მდგომარეობა გაუარესებულია. ხელმისაწვდომია ბმულზე

43. სასამართლომ ეკატერინე კიკნაძის ხელოვნების მუზეუმისა და ეროვნული გალერეის მმართველის პოზიციიდან ლაბორანტის პოზიციაზე გადაყვანის ბრძანება უკანონოდ მიიჩნია. ხელმისაწვდომია ბმულზე

44. საიამ და საფარმა საკონსტიტუციო სასამართლოს ქალების საპენსიო ასაკის გაზრდასთან დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარუდგინეს. ხელმისაწვდომია ბმულზე

45. საიას განცხადება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

46. „ბათუმის ბულვარის“ ყოფილი დირექტორი დავას უზენაეს სასამართლოში აგრძელებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

47. ბანერის გაშლის გამო დაკავება უკანონოა და ძირს უთხრის კონსტიტუციურ პრინციპს. ხელმისაწვდომია ბმულზე

48. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვეხმიანებით უფლებადამცველების დაკავების ფაქტებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

49. უკანონო ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა ბათუმში გრძელდება. ხელმისაწვდომია ბმულზე

50. სასამართლომ მცირეწლოვანის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა დაადგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

51. საია მოუწოდებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობის ფორმატი. ხელმისაწვდომია ბმულზე

52. საიამ პარლამენტს მოსაზრება წარუდგინა რეგლამენტის ცვლილებაზე, რომელიც საკანონმდებლო პაკეტში შემავალ კანონპროექტებზე ერთიან კენჭისყრას ითვალისწინებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

53. საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს საქმეს „გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია ბმულზე

54. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფემიციდის საქმეზე საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილება მიიღო. ხელმისაწვდომია ბმულზე

55. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალებული პირის სასარგებლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ზიანის ანაზღაურება დაევალა. ხელმისაწვდომია ბმულზე

56. მინისტრთა კომიტეტმა „ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეებზე სახელმწიფოს დამატებითი რეფორმების განხორციელებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. ხელმისაწვდომია ბმულზე

57. საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, ექვსი პირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა. ხელმისაწვდომია ბმულზე

58. კოალიცია ეხმიანება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

59. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განცხადება ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

60. საიას დახმარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირი სამსახურში აღდგება. ხელმისაწვდომია ბმულზე

61. საია რუსთავში არსებულ მოხუცთა პანსიონატთან დაკავშირებით გასულ სიუჟეტს ეხმიანება. ხელმისაწვდომია ბმულზე

62. საიას რუსთავის ოფისის დახმარებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის საქმე წარმატებით დასრულდა. ხელმისაწვდომია ბმულზე

63. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამრღვევად ცნო. ხელმისაწვდომია ბმულზე

64. მშენებლობაზე საწარმოო შემთხვევის გამო გარდაცვლილი პირის არასრულწლოვანი შვილი სარჩოს მიიღებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

65. 2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენები ამ დრომდე სათანადოდ არ არის გამოძიებული. ხელმისაწვდომია ბმულზე

66. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ადვოკატების დახმარებით ამ დროისთვის მარტის აქციებზე დაკავებული 21 პირის საქმე დასრულდა სასამართლოში წარმატებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

67. შსს სიძულვილის ჯგუფების მიმართ კვლავ შემწყნარებელ პოლიტიკას ატარებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

68. სასამართლომ სახელმწიფოს მოქალაქისგან უსასყიდლოდ მიღებული მომსახურების ანაზღაურება დაავალა. ხელმისაწვდომია ბმულზე

69. სასამართლომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან პირის გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია. ხელმისაწვდომია ბმულზე

70. გამჭვირვალობის პრობლემურობა საბჭოში. ხელმისაწვდომია ბმულზე

71. გოგა რაზმაძის საქმეზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება არ დაიწყო. ხელმისაწვდომია ბმულზე

72. საია შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკონსტიტუციური ქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

73. კოალიცია დამოუკიდებელ ინსპექტორად შოთა ქადაგიძის არჩევას ეხმაურება. ხელმისაწვდომია ბმულზე

74. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მოსაზრებები ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

75. ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს არღვევს. ხელმისაწვდომია ბმულზე

76. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს ორი ყოფილი წევრის ინტერესებს საია საკონსტიტუციო სასამართლოში დაიცავს. ხელმისაწვდომია ბმულზე

77. 15 წელი აგვისტოს ომიდან - ტერორისტული რეჟიმის განგრძობადი ზიანი და შედეგები საერთაშორისო სასამართლოებში. ხელმისაწვდომია ბმულზე

78. საია საკონსტიტუციო სასამართლოში „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებულ კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას ასაჩივრებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

79. საია ეხმაურება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადებას, რომელიც საზოგადოების შეცდომაში შემყვანია. ხელმისაწვდომია ბმულზე

80. გიორგი სულაშვილის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო. ხელმისაწვდომია ბმულზე

81. საიამ 5 ივლისის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს წერილობითი პოზიცია წარუდგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

82. რას ნიშნავს იმპიჩმენტი და რა შედეგები მოჰყვება მას. ხელმისაწვდომია ბმულზე

83. პრემიერ-მინისტრის მიერ პირადი მიზნებისთვის სახელმწიფო რესურსის შესაძლო გამოყენების ფაქტზე გამოძიება უნდა დაიწყოს. ხელმისაწვდომია ბმულზე

84. საია ეხმიანება „მთავარი არხის“ ეთერში შუახევ ჰესთან დაკავშირებით გასულ სიუჟეტს. ხელმისაწვდომია ბმულზე

85. საიას დახმარებით, ყვარელში 2023 წლის 20 მაისს დაკავებული პირების საქმეები წარმატებით დასრულდა. ხელმისაწვდომია ბმულზე

86. საიას დახმარებით, სოციალური მუშაკები, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო, კომპენსაციას მიიღებენ. ხელმისაწვდომია ბმულზე

87. სამართლებრივი განმარტებები ოთარ ფარცხალაძის მოქალაქეობის საკითხზე. ხელმისაწვდომია ბმულზე

88. საია კარვის გაშლის გამო პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ასაჩივრებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

89. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შოვსა და გურიაში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ. ხელმისაწვდომია ბმულზე

90. სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის მზარდი ტენდენცია ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით გრძელდება. ხელმისაწვდომია ბმულზე

91. საიას სამართლებრივი შეფასება პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

92. საიამ საქართველოს პარლამენტს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით 4 ანგარიში წარუდგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

93. საიას დახმარებით, 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალებულ ჟურნალისტს მორალური ზიანი აუნაზღაურდება. ხელმისაწვდომია ბმულზე

94. მართლმსაჯულების რეფორმა - დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის ხედვა. ხელმისაწვდომია ბმულზე

95. ფსიქიკური ჯანმრთელობა - ადამიანის უნივერსალური უფლება. ხელმისაწვდომია ბმულზე

96. საიას დახმარებით, პირს წინასწარი პატიმრობის პერიოდში მიუღებელი პენსია აუნაზღაურდება. ხელმისაწვდომია ბმულზე

97. საია ინტერნეტ მედიისთვის სასამართლო პროცესების გადაღების აკრძალვას საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს. ხელმისაწვდომია ბმულზე

98. არარეგისტრირებული კავშირი „სტუდენტური სოლიდარობა“ და ირაკლი კუპრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია ბმულზე

99. საიას განცხადება სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

100. მოსაზრებები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“. ხელმისაწვდომია ბმულზე

101. საიას წარმატებული საადვოკაციო კამპანია დუშეთში. ხელმისაწვდომია ბმულზე

102. საია „რუსული კანონის“ გაპროტესტების დროს უკანონოდ დაკავებული აქციის მონაწილის უფლებებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დაიცავს. ხელმისაწვდომია ბმულზე

103. საიამ რეზინის ტყვიების გამოყენების საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. ხელმისაწვდომია ბმულზე

104. საია ეხმაურება სახალხო დამცველის გადაწყვეტილებას გოგა რაზმაძის საქმესთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე

105. საკრებულოებში, საიას რეკომენდაციების საფუძველზე, რეგლამენტის ცვლილებების განხილვა დაიწყო. ხელმისაწვდომია ბმულზე

106. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გიორგაძეს უვადოდ არ გადანიშნავს. ხელმისაწვდომია ბმულზე

107. საიამ უნივერსიტეტის ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორებთან ვადიანი ხელშეკრულების დადება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. ხელმისაწვდომია ბმულზე

108. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალისა და ბავშვების სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა. ხელმისაწვდომია ბმულზე

109. საია მოუწოდებს შსს-ს, უზრუნველყოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე მყოფი პირების შეკრების თავისუფლება. ხელმისაწვდომია ბმულზე

110. მესტიისა და ზუგდიდის საკრებულოს წევრებმა საიასთან ერთად შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვისთვის მუშაობა დაიწყეს. ხელმისაწვდომია ბმულზე

111. საია უერთდება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნას. ხელმისაწვდომია ბმულზე

112. საიამ „ტიკ-ტოკზე“ გამოქვეყნებული ვიდეოს გამო პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა. ხელმისაწვდომია ბმულზე

113. საიამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელები წარადგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

114. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე რუსეთის ფედერაციას სიცოცხლის უფლების დარღვევა დაუდგინა. ხელმისაწვდომია ბმულზე

115. სასამართლომ პირის უკანონოდ დაკავების გამო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარ სამმართველოს ზიანის ანაზღაურება დაავალა. ხელმისაწვდომია ბმულზე

116. რაჭის ტყეების გასხვისების საწინააღმდეგო აქციაზე დაკავებული რამდენიმე პირი სასამართლომ სამართალდამრღვევებად არ მიიჩნია. ხელმისაწვდომია ბმულზე

117. გოგა რაზმაძემ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. ხელმისაწვდომია ბმულზე

118. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების სასარგებლოდ შეცვალა გადაწყვეტილებები. ხელმისაწვდომია ბმულზე

119. საიას დახმარებით, ბავშვს არასწორად შეწყვეტილი შშმ პირის სტატუსი აღუდგა. ხელმისაწვდომია ბმულზე

120. ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, მატულობს პიროტექნიკული ნაკეთობების დაუდევრად გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეები. ხელმისაწვდომია ბმულზე